ლ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 4 სექტემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შეძლე[illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба“. [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

188 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 188

ლისის მუშ. და ჯარის-კაც. დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს აღმასრულებელ კომიტეტის წევრის

ამხ. ნიკოლოზ ფარნაოზის ძე ყიფიანის

ეცრად გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 8 საათ. ლებულის ბინაზე. (ნიკოლოზის ქუჩა № 50) მიცვალებულს გამოასვე- ენ საკუთარ ბინიდან ხუთშაბათს 5 სექტემბერს დილის 9 საათზე. და- კრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე. ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს პატივი სცენ თავის დასწრებით მიცვალებულის ხსოვნას. (3—2)

ლისის ქალაქის მილიციის მოსამსახურენი ღრმესი მწუხარებით აუწ- ენ საზოგადოებას ძვირფასი თანამოსამსახურის მეექვსე კომისარიატის უფროს მილიციონერის

ნიკოლოზ ყიფიანის

ალიკულათ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 29 აგვისტოს. პანაშვიდი შაბათს და ოთხშაბათს საღამოს 8 საათზე მიცვალებულის ბინაზე (ნი- ლოზის ქ., № 50). მიცვალებულს გამოასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში სექტემბერს, დილის 9 საათზე. დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—1)

ფილისის მიწის სამზომელო სასწავლებლის სამმართველო ამით აცხა- რომ მისაღები გამოცდა პირველ გაეროვნებულ კლასში დაიწყება 16 სექ- ს დილის 9 ნახ. საათზე.

მომსვლელთათვის საჭიროა იცოდენ ქართული ენა (კითხვა და თავისი წერილობით გადაცემა).

ამოცდა არითმეტიკაში, გეომეტრიაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში და ბუნე- მეტყველობაში ქართულ ენაზე მოხდება 1872 წლის დებულებით არსებულის ქო სასწავლებლისა ანუ უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებ- ურსის ფარგალში.

ხოვნის მიცემა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე შეიძლება სა- ლის კანცელარიაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე (გუნიბის ქ. № 46).

ათა კავშირის ყრი-ლოგისათვის

ღეებში თფილისში გაიხსნება კავ- ქალაქთა კავშირის ყრილობა. შირი შესდგა ამიერ-კავკასიის ობის ხანაში, როცა რევოლიუ- ბრძოლის წაგების ნიშნები თუმ- რუსეთში, მაგრამ საბოლოოთ ასე გათიშვას და დაქუცმაცებას არ ქონია. ერთ პოლიტიკურ წიფოებრივ ფარგალში მოქმედ- ახლოვებით ერთგვარ პირობებში ლი ქალაქები შეძლებისდაგვა- წოდენ თავის ეკონომიურ და სა- ოებრივ მოღვაწეობას.

ლია მათ ხელს უშლიდა ანარ- ლი, გათიშვის პროცესები, გაალ- ლი კლასთა და ერთა ბრძოლა—ია- ჩხარუნი, მიმოსვლის შეწყვეტა. ა, რომ ახლაც ამ ყრილობას ზოგ- ქალაქი დაესწროს, არა იმიტომ, არ სურს, არამედ იმიტომ, რომ შეძლებს მოსვლას. და კიდეც რომ ათ მოსვლა—მოახერხებენ კი დღე- ლ პოლიტიკურ პირობებში საერ- მუშაო გეგმის შემუშავებას?

დიდი მომხრე ვართ შეერთების, ანებული მუშაობის, შეთანხმებით ნეო და საზოგადოებრივ საქალა- მეურნეობის მოწყობის, მაგრამ ამ ჟამათ გვებადება, ასეთი შეერთების შე- ლებლობაზე.

და იმისა, რომ დღეს დღეობით ტიკური ატმოსფერა სამ მეზობელ მწიფოებ შორის გაწმენდილი არაა. პოლიტიკური ფიზიონომია, მის- ება - მიდრეკილებანი სხვადასხვა მიიმართებიან. და ეს კი არ შე- ა დიდ დამაბრკოლებელ მიზეზათ რჩეს ქალაქთა ინტერნაციონალურ ირისათვის.

ოთაშორისო კავშირს სხვა მიზეზ- კონსტრუქცია აქვს, ვინემ შინა- ერთ სახელმწიფოს ფარგლებში თვითმართველობათა კავშირს.

ლოდ ბრძოლას ან გარეშე მიზნებით ებულს შეუძლია იფიქროს, რომ წიფოები არსებითათ მოახერხებენ სა- წიფოებრივ გაერთიანების მოწყო- თუ პოლიტიკური ინტერესი ამ სა- წიფოებისა არ ეგუება ერთმანეთს. მოკრატიული საქართველო, დაშ- თა სომხეთი და ბეგების ადერ- ანი—ჩვენ ვლაპარაკობთ ოფიცია- სახელმწიფოებზე—ამ მხრით მე- ქრელ ნიადაგს წარმოადგენენ.

მივიღებთ ამასთანავე მხედველო- გარემოებას, რომ თვითეული წიფო თავის განსაკუთრებულ ებრივ ნოიერის ქონის და თვითმართველობა ყველგან თავისებურ პირობებში იქნება ჩაყენებული, ადვილი წარმოსადგენია, რომ მრავალ სფეროში გაერთიანებული მოქმედება შეუძლებელი გახდება, საერთო ნიადაგი ნაკლები დარჩება, ვინემ დღემდე იყო, ამიტომ სახელმწიფოს ფარგლებში დაარსებული კავშირი უფრო მტკიცე იქნება და ძლიერი, მოქმედი, საქმიანი, მიზან შეწონილი, ვინემ სახელმწიფოთა შორისო კავშირები, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ზოგიერთ ზოგად მხარეებში გამონახოს საერთო პრაქტიკული სამოქმედო ასპარეზი.

ამიტომ ჩვენ პირველ და აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია სახელმწიფოს შიგნი ყველა თვითმართველობების შეკავშირება, რომელსაც შეძლება ექნება თვითმართველობის იურიდიულ და ეკონომიურ არსებობის პირობების გაუმჯობესებას ხელი შეუწყოს. მაგრამ ამით ოდნავადაც არ გვინდა ხელი ვკრათ სახელმწიფოთაშორისო კავშირს. იგი შეიძლება და სასურველიცაა, რამდენადაც საერთო ენა და საერთო სამოქმედო პირობები გამოიძებნება. ჩვენ ასეთ კავშირსაც დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, მარა არა პოლიტიკურს. ბავშობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თვითმართველობათა ეკონომიური და სხვა კავშირი გახდება საძირკვლად სახელმწიფოთა გაერთიანებისა. ეს მხოლოდ მეოცნებეთა უტოპიაა, ყალბ გზაზე შედგომაა.

ქალაქებისთვის საკმარისია თავის თვითმმართველობის საქმეების მოწესრიგება და ამ მხრით სარგებლობის მოტანა. გაერთიანება სახელმწიფოებისა კი შეიძლება მოხდეს—თუ იარაღით დაპყრობას არ მივიღებთ მხედველობაში, მხოლოდ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა სოლიდარობით.

ეს კი არ ს საკითხი ყველა მეზობელ სახელმწიფოთა დემოკრატიისა. თუ იგინი გახდება ყველა სახელმწიფოში ბატონი თავის ბედისა—გაერთიანებასაც ამა თუ იმ სახით—წინ არაფერი დაუდგება.

თუ დემოკრატიამ ასეთი ძალა ვერ შეიქნა—გაერთიანება, მაშინ შეიძლება ისეთი სახის გამოდგეს, როგორც მშიერი უერთდება პურს.

ესე იგი ერთმა ჩაყლაპოს მეორე. და ასეთი ჩაყლაპვა კი შეიძლება ერგოს დემოკრატიას, ვინაიდან იგი თვით სხვის შთანთქმაზე და დაპყრობაზე არსად არ ოცნებობს.

ამ რიგათ ქალაქთა კავშირმა უნდა ხაზი გაუსვას თავის სამოქმედო ასპარეზს და იგი შექმნილ პოლიტიკურ პირობებს შეუფარდოს. მხოლოდ ამით მოუტანს ყრილობა ნამდვილ, რეალურ და არა ყველა ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებისთვის ოპოზიციაში ჩადგომით და გარეშე სახელმწიფოს ქვეშ გაერთიანებისკენ მისწრაფებით.

ამ მხრით ვუსურვებთ მომავალ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

რაშია ხსნა?

წარმოების განადგურების ნიადაგზე რუსეთის ძველი მთავრობა დაინგრა.

მსოფლიო ომის საშინელებამ ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში არაჩვეულებრივი კრიზისი გაამეფა. დაინგრა პოლიტიკური წყობილების ის ფორმა, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარებას წარმოუდგენლათ აფერხებდა.

ეკონომიური ცხოვრების განვითარება სოციალური ურთიერთობის მთავარი ღერძია და თუ ეს ღერძი მოიშალა, მოიშლება თვით ზედ ნაშენიც. განსაკუთრებით ახლა, როცა მთელი კაცობრიობა საერთაშორისო ომის გამო გალატაკდა, მისი საერთო ნაწარმოების რაოდენობა საზღაპროთ შემცირდა.

კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთ ზედმეტ ნაწარმოებით იხრჩობოდენ, ზედმეტ ნაწარმოებისათვის ბაზარს ვეღარ შოულობდენ, დღეს საქონლის სიმცირეს განიცდიან და საარსებოდ კულტურულ მოთხოვნილებებს მეტისმეტად ზომიერებით იკმაყოფილებენ. ნაციონალური წარმოება ხალხის საერთო მოთხოვნილებას ჩამორჩა და მით შეიქმნა ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც ამ ჟამად მთელი განათლებული კაცობრიობა იმყოფება.

ამიტომაც არის, აქ ახლა მთელი სახელმწიფოებრივი ყურადღება აქეთ არის მიმართული და წარმოების ორგანიზაცია წარმოების განაყოფიერება და მისი დროს შესაფერი განაწილება უდიდეს საკითხათ გადაიქცა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა სავალდებულო შრომის ბეგარა. ქალებისა და მცირე წლოვანების წარმოების ფერხულში ჩაბმა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაშვება და კულტურული გადაგვარება აუცილებელი შედეგი იქნება.

ჩვენში მდგომარეობა უფრო აუტანელია. წარმოება განუვითარებელია, საწარმოო იარაღები პრიმიტიულია და ნაციონალური სიმდიდრის შექმნა უაღრესათ უმნიშვნელოა. ამას ემატება ანარქია, შრომის რაოდენობის შემცირება, საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების დაშლა დანგრევა, რაიც ყოველგვარ კრიზისს აძლიერებს, ფიზიკურ გადაგვარებას გვიქადის.

პოლიტიკური რეფორმები, დემოკრატიული წყობილების განმტკიცება და სხვა ამისთანა საზოგადოებრივი სიკეთენი იმისათვის გვინდა, რომ წარმოების წესი განვითარდეს, ხალხის კეთილდღეობა გაუმჯობესდეს და ფართო მასის კულტურულ ცხოვრებას მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს. პროლეტარიატის საუკეთესო მესაიდუმლე, მისი სული და გული ავგუსტ ბებელი ამბობდა: როცა მე ამა თუ იმ რეფორმას ვემხრობი, როცა სოციალურ კანონმდებლობას მხარს ვუჭერ, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს რეფორმა თუ კანონმდებლობა საწარმოო ძალთა განვითარებას ხელს უწყობს და ხალხის სულიერ და მატერიალურ მდგომარეობას აუმჯობესებსო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მე მხარს არ დავუჭერ და იგი ხალხის დამღუპველათ მიმაჩნიაო.

რეფორმები და დემოკრატიული წყობილება ჩვენს შემოქმედების უნარს უნდა აფართოვებდეს, ნაციონალური სიმდიდრის შექმნას მაღალ საფეხურზე აყენ უნდა ეწეოდეს რას ჰავს დემოკრატიული წყობილება, თუნდაც სოციალისტური საზოგადოება, თუ ხალხის უმრავლესობა მუდმივ გაჭირვება და მოთხოვნილების შემცირებაში იქნება? დემოკრატიული და სოციალისტური წყობილება ნივთიერ და კულტურულ კეთილდღეობის მატარებელია და არა სილატაკე გაღარიბების.

თავისთავად რეფორმები და გარეგანი პოლიტიკური ფორმები მატერიალურსა და სულიერ სიძლიერეს ვერ მოგვანიჭებს, უკეთუ წარმოების სფეროებში შრომის ნაყოფიერება, ნაწარმოების რაოდენობა არ გაიზრდება. სულიერი კულტურა მატერიალური კულტურის ზედ ნაშენია და თუ პირველი სუსტია—სუსტი იქნება მეორეც.

ჩვენთვის რვა საათის სამუშაო დრო მინიმუმი არ არის. შეიძლება წარმოების ურთიერთობა ისეთნაირად განვითარდეს, რომ ხალხს ოთხი საათის მუშაობაც ეყოს და ამ დროის განმავლობაში თამამად დაიკმაყოფილოს მთელი თავისი მოთხოვნილებანი.

მაგრამ დღეს ჩვენ საწარმოვო იარაღების განუვითარებელ პირობებში ვიმყოფებით, ჩვენი შემოქმედებითი ძალა მეტ ენერგიის დახარჯვას მოითხოვს. ის სამუშაო დრო, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ არის დაკანონებული საკმარისია, რომ მწარმოებელმა კლასმა საჭირო საგნები შექმნას, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ეს დრო ნაყოფიერათ იქნება გამოყენებული და ცუღლუტობას და უსაქმობას ადგილი არ ექნება; ყოველი მუშა თუ დაქირავებული ჯგუფი ამ დროს ნაყოფიერათ უნდა იყენებდეს. სწორეთ ასეთ პირობებში შეიძლება დემოკრატიის ნივთიერი და კულტურული კეთილ დღეობა.

შრომის განაყოფიერება, საწარმოვო ძალების ამოძრავება ჩვენი ცხოვრების გაკულტუროსნების მთავარი თავმდებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ხალხს წარმოუდგენელი სილატაკე მოელის, რასაც ვერ იხსნის ვერც დემოკრატიული რესპუბლიკა და ვერც ხალხის მართვა-გამგეობა. ამ საკითხს ჩვენმა მშრომელმა კლასებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ და ამ ნიადაგზე დაიწყოს მუშაობა, თორემ სილატაკე გაჭირვება ისევე დაანგრევს დემოკრატიულ წყობილებას, როგორც დაანგრია რუსეთის ძველი მთავრობა.

პრესა

ლტოლვილთა საკითხში, როგორც ეტყობა, ესერების „ტრუდოვოე ზნამია“ ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს უახლოვდება. გვიან ხდება ეს, მაგრამ უმჯობესია გვიან, ვიდრე არას დროს.

გაზეთი სწერს:

„სომხის ბურჟუაზიას, რომელიც აგრე ცდილობს საქართველოს მთავრობას, სამარცხვინო ღალი მოსცხოს უმოწყალო პოლიტიკის წარმოებისათვის ლტოლვილებისადმი, თითონ არაფერი არ გაუკეთებია. თავისი მდიდარი სუფრიდან ეს ბურჟუაზია ზოგჯერ თუ გადაუგდებს სომეხ ლტოლვილთ თფილისის ტალახიან ქუჩებზე ნაფშხვებს. ომის დროს სომხის ბურჟუაზიამ დიდძალი ქონება დააგროვა, სომხის პლუტოკრატია ფუფუნება განცხრომაშია. ის გულგრილათ უცქერის გაჭირვებულ ხალხს, მაგრამ სადაც არ მოქმედობს შეგნება, იქ უნდა მივმართოთ იძულებას. ჩვენ გვწამს, რომ სომხის ბურჟუაზიის საგანგებოთ დაბეგვრა ლტოლვილთა სასარგებლოთ საქართველოს მთავრობის მხრით წინააღმდეგობას არ გამოიწვევს. სომეხთა ბურჟუაზიულ წრიდან ახლად მოვლენილ სოციალისტებს კი, რომელნიც საქართველოს მთავრობის ანტი დემოკრატიულ პოლიტიკაზე გაჰკივიან, ვურჩევთ გამოიჩინონ თავიანთი დემოკრატობა და სოციალისტობა. საქმით დაამტკიცონ, რასაც სიტყვიერად გაიძახიან—დაეხმარონ ხალხს, რათა სპეკულიაციის თუ სხვა საშუალებით შეძენილი სიმდიდრიდან მდიდრებს აგან ცოტაოდენი მიიღოს“.

დროზე რომ გაკეთებულიყო ის, რაც ახლა ითქვა „ტრუდოვოე ზნამია“-ში, პირით, ლტოლვილთა საკითხიც არ მიიღებდა აგრე მწვავე სახეს, მაგრამ მარტო ლტოლვილების დახმარება ხომ არ აქვთ მიზნათ დასახული ერთი ჯურის მწერლებს. რამდენიც არ უნდა შეაწერონ სომხის ბურჟუაზიას ლტოლვილთა სასარგებლოთ—დამნაშავე ყველაფერში ამ ხალხის აზრით მაინც საქართველოს მთავრობა იქნება!.

⁂

„ედინენიე“ და „ტრუდოვოე ზნამია“ საქართველოში მცხოვრებ მცირე ერთა უფლების დაცვას კისრულობენ.

უმცირესობისთვის არ გვკითხავთ ისე გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა, ისე იწვევთ მათ სამსახურში.

რუსის ქართველთა დამოკიდებულებას ეხება „ედინენიეში“ ა. სელიხანოვიჩი. მისი თქმით ქართველთა და რუსებს შორის უფსკრული გაჩნდა, პირადი მეგობრული დამოკიდებულებაც შეიბღალა. ამის მიზეზად ის საქართველოს დამოუკიდებლობას კი არ ასახელებს,—არამედ ამ დამოუკიდებლობის უხეიროდ გატარებას.

„რუსები არ არიან მტრები საქართველოს დამოუკიდებლობისა. რუსების დიდი უმრავლესობა გაიგებდა ამ დამოუკიდებლობის გამოცხადებას და გერმანიისადმი დახმარებისათვის მიმართვის საჭიროებას. ჩვენ გვრწამს, რომ რუსები არ განაცხადებდენ პროტესტს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, არამედ—თითონ მიიღებდენ მხურვალე მონაწილეობას საქართველოს სახელმწიფოს აშენების საქმეში, თუმცა, იდუმალი იმედი მუდამ ექნებოდათ იმისა, რომ მომავალში ავტონომიური საქართველო რუსეთის ფედერაციაში შევიდოდა, მაგრამ ისინი რუსებიც არ იქნებოდენ, რომ ასეთი იმედები არ ჰქონოდათ“.

ასე რომ, თურმე შესაძლებელი ყოფილა ცალი ხელით საქართველოს სახელმწიფოს შენება, ორივე თვალით რუსეთისაკენ ცქერა!

რომელი სახელმწიფოს მოქალაქე მუშაობს აგრე? ამ გვარი მუშაობით რომელი სახელმწიფო აშენდება, რომელი დაინგრევა?

რაც შეეხება უმცირესობის „აბუჩად აგდებს“, ესეც სააგიტაციო მასალაა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ!

დროს და გარემოების მიხედვით მასალად, რა თქმა უნდა, სხვა და სხვა „საბუთები“ გამოდგება!..

გორის ამბები

ეროვნულ არჩევნები ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო რაიონებში: ბორჯომში, ხაშურში, გომში, ქარელში და გორში გადაიდო 8 სექტემბრისთვის. ამ ჟამად ყველა ამ რაიონებში მუშაობა დამთავრებულია. ყოველნაირი დაბრკოლება დანიშნულ დროისთვის არჩევნების მოსახდენათ აცილებულია. გორში საარჩევნო დამოუკიდებელ სიებთან გამოდიან № 1 სოც.-დემოკრატები, № 2—ს. ფედერალისტები, № 3—ნაც. დემოკრატები, № 4 დაშნაკელები. საგრძნობ ძალას თვით გორში ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ.

— 31 აგვისტოს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც ხმოსნების გარდა გარეშენიც დაესწრნენ. საბჭოს ამ სხდომაზე ქალაქის თავობიდან გადადგა სერგო რობაქიძე. მისი გადადგომა მიღებულ იქმნა ერთხმათ სოციალ დემოკრატებისა, სოც.-ფედერალისტთა და ს.-რევოლიუციონერთაგან. მხოლოდ დაშნაკელთა წარმომადგენელმა განაცხადა ეთხოვოს რობაქიძეს თავის პოსტზე დარჩესო. საბჭომ ხმის უმრავლესობით მიიღო რობაქიძის განცხადება გადადგომის შესახებ.

საბჭოს ამავე კრებაზე მოსმენილ იქმნა მოხსენებები გორის რევოლიუციონურ ტრიბუნალის წინააღმდეგ გაბაშვილისა და ნაც. დემ. ეროვნულ საბჭოში გამოლაშქრების შესახებ კოტერიძისა, გაბუნიას და კინწურაშვილისა. ილაპარაკეს ხმოსნებმა და თითქმის ყველა იყო აღშფოთებული იმ ჭორებით, რომლებიც ეროვნულ საბჭოში წარმოსთქვა რ. გაბაშვილმა. საბჭოს ამ კრებაზე დაესწრო გორის ნაც.-დემოკრატების წარმომადგენილი ექიმი გაბრიელ გვერდწითელი, ამაიანი გორის საზოგადოებაში პატივცემული საბჭოს ყველა ფრაქციებმა და, მათ შორის, ნაც.-დემოკრატებმა ექიმ გვერდწითელის პირით, სასტიკი პროტესტი გამოსთქვეს იმ ინსინუაციებისა და ჭორების წინააღმდეგ, რომლითაც ეროვნულ დემოკრატების წარმომადგენელებმა ეროვნულ საბჭოში გორის ტრიბუნალის წინააღმდეგ გაილაშქრეს და მოითქვა ის აზრი, რომ მოეთხოვოს ეროვნულ საბჭოს წევრს რ. გაბაშვილს პასუხი ცილისწამებისათვის და სასამართლოში იქნეს მიცემული ლ. ჯაფარიძე და სხვები. შესაფერი რეზოლიუციის შედგენა მიენდო ყველა ფრაქციათა წარმომადგენლებს; რეზოლიუცია აქვე მოგვყავს.

1) ეროვნულ დემოკრატების მოღვაწეობა ეროვნულ საბჭოში აშკარა მტრულია და არა სახელმწიფოებრივი. მათი გამოსვლა შეკითხვების სახით გულისხმობს მხოლოდ პარლამენტისათვის ხელის შეშლას დიდებით მუშაობაში და არა დახმარების.

2) ეროვნულ დემოკრატების და მათი ლიდერ გაბაშვილის გამოსვლა გორის ტრიბუნალის წინააღმდეგ აშკარა ტყუილებსა და ცილისწამებას შეიცავს. ყველა ბრალდებები, რომლებსაც გაბაშვილი გორის ტრიბუნალს უყენებდა, ამ უკანასკნელის მიერ გაბათილებულ იქმნა გაზეთის („ერთობის“) საშუალებით. დამტკიცდა, რომ არც ერთი ბრალდება ტრიბუნალის წინააღმდეგ სიმართლეს არ შეიცავს.

3) გორის ქალაქის საბჭოს (ს.-დ., ს. ფ., ს. რ., კადეტები, დაშნაკელები და სხვ.) უღრმესს პროტესტს აცხადებს ეროვნულ-დემოკრატების ლიდერის რევაზ გაბაშვილის წინააღმდეგ, მოითხოვს, რომ გაბაშვილმა პასუხი აგოს ცილისწამებისათვის ეროვნულ საბჭოშივე. ქალაქის საბჭო მოითხოვს აგრეთვე სამართალში იქმნენ მიცემულნი ლ. ჯაფარიძე და სხ. მისთანა უპასუხისმგებლო მწერლები.

გორის ტრიბუნაზე დაუსაბუთებელ ბრალდებების წამოყენების წინააღმდეგ საბჭოს პროტესტს თავისი ხმა შეუერთა ნაც.-დემოკრატების წარმომადგენელმა ხმოსანმა ექიმმა გ. ი. გვერდწითელმა.

დუშეთის მაზრაში

ამხ. პ. კახიანი, რომელსაც მინდობილი აქვს დუშეთის მაზრაში მომხდარი ამბების გამოძიება, გუშინ წინ ჩამოვიდა და როგორც მოგვითხრობს, იქ დღესდღეობით სრული სიმშვიდე დამყარებულა.

თვით დუშეთში საქმის გამოძიება დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს. საჭიროა ზოგიერთების დაკითხვა საქართველოს სამხედრო გზის სხვადასხვა სადგურებზე, ვიდრე ყაზბეგამდე. დუშეთში ყოვლად შეუძლებელია კაცმა იშოვნოს ეტლი ან ცხენი სამგზავროთ. ამიტომ საგამომძიებლო კომისია დაბრუნდა ქალაქს, მით უმეტეს, რომ სამუშაო აქაც ბევრია. ადგ. ციხეებშია მოთავსებული ორასამდე მეამბოხე და მათი საქმის გამოძიება საჭირო. ამ ხანებში იმედი მაქვს როგორმე ყაზბეგამდე ავიარო, რათა გამოძიება ყოველ მხრივ იყოს დამაკმაყოფილებელი.

თქვენ გაინტერესებთ საერთო მდგომარეობა მაზრაში?

ჩემი შთაბეჭდილებით, საქართველოს ტერრიტორიაზე, მეორე მაზრა არ მოინახება, ასე უყურადღებოთ რომ ყოფილიყოს მიტოვებული და თუ მხედველობაში მიიღებთ, რომ დღემდე მხოლოდღა ერთი ორკლასიანი შკოლა ქონდათ ისიც ორ მაზრას (დუშეთის და თიანეთის) ერთად, თქვენ დამეთანხმებით, რომ კულტურულად ამ ასი წლის განმავლობაში აქ არავითარი ცვლილება არ მომხდარა, არ იქნება გადაჭარბებული, ვთქვათ, რომ ასში ათი ძლივს მოაწერს თავის სახელს და გვარს. მიწის საკითხი, როგორც ყველგან, აქაც გაწვავებულია. მომუშავეს ვერ შეხვდებით არ შემოგჩივლოს მიწის სივიწროვე. ამ ნიადაგზე ამბოხების წინა დღეებში უთანხმოებაც მოსვლოდათ წილკნელებს და არაგვის პირელებს. სუსტი უნდა იყოს მამულები ჩამომრთმევ კომისიის მუშაობა. არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოებაც რომ მიწების საზოგადო გამგეობა მცხეთაში მოთავსებულა და არა დუშეთში. გლეხმა ასი ვერსზე მეტი უნდა გაიაროს, გამგეობასთან თუ პატარა რამ საქმე აქვს.

ერობის შემოღება გვიანდება და ეს ბევრნაირათ აფერხებს საქმეს. ადგილობრივი ამხანაგები მომითხრობდენ თუ რა ძნელია მუშაობა მაზრაში, სადაც [illegible] ტათ თუ ბევრათ შეგნებული კაცი [illegible] თლით არის ხაქებარი. ბევრი იმედი [illegible] რებენ სოფ. მასწავლებლებზე, ზოგიერთ [illegible] ინი, თურმე გაურბიან სოფელს, მაგრამ იქ [illegible] სოფლებში მოინახება სკ[illegible] და სწავლა არ მარტო სკამები არის [illegible] ითხოვენ დაუ[illegible] სწარმოებსო. ამხანა[illegible] ზავნილი მცოდნე ყონებულ იქნას [illegible] ინსტრუქტორები მოსა[illegible] და გამოცდილ[illegible] წყობათ.

რაც შეეხება სურსათს, სოფლად ეს კითხვა არ არ[illegible]ს მწვავედ წელს, რო[illegible]

თვის და ახალ ადგილების შეძენისათვის

ძლია ვიფიქროთ, რომ გერმანიის იმპე

ნააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე დიდია: უზრუნველყოფილება შეიარაღებულ ძა

სოფია, მეცნიერული ახსნა: დემაგოგიამ

ლების შესახებ.

გორც სხვაგან, აქაც კარგი მოსავალი იყო, მაგრამ სოფელი ქალაქს არაფერს უზიარებს.

ერთ დილას ადრე სოფლებში ავიარე; დაბრუნებისას, ჩემი ყურადღება დუშეთისკენ მიმავალ პატარა ბავშვმა მიიპყრო: მას ხელში წიგნი ჰქონდა, გზა-გზა გამოვარკვიე, რომ ის დუშეთში მიდიოდა სამეცადინოთ: მეორე ხელში ბავშვს მშვენივრათ გამომცხვარი შინაური პური ეჭირა, რომელსაც დრო-გამოშვებით უკბენდა: აბა რაგორი სამართალია,— „შევნიშნე მე—შენ ასეთ კარგ პურს სჭამ, ჩვენ კი ბალახით გვკვებავენ დუშეთში მეთქი. ბავშვმა უცბათ მომიჭრა სიტყვა, „როდესაც მე ამ პურს დუშეთში მოვიტანდი, შენ გასტეხდი თუ არა, უკანვე მომიგდებდი, ეს როგორ იჭმება და ამავე დროს თეთრ პურს მიირთმევდი,—ეს დრო რატომ დაგავიწყდა; თქვენ ყელამდე სავსე ხართ ყველაფრით და მე არც ტანთ მაცვია და ჩუსტებიდან თითებიც გამოცვენილ მიაქვსო". ის კიდევ უფრო ნათელ ჰყოფს გლეხების სულიერ მდგომარეობას.

როგორც ვსთქვი, დღეს სიწყნარეა დუშეთის მაზრაში. დიდ უნარს და ენერგიას იჩენს მაზრის ახალი კომისარი ლანდია. დარწმუნებული ვარ, რომ თუ მას მთავრობამ დახმარება აღმოუჩინა, არავითარ ექსცესებს არ ექნება ადგილი დღეის იქით მაზრაში.

გლეხებთან საუბარმა სხვადასხვა სოფლებში მე ამაში სრულიად დამარწმუნა.

უნდა დავაბოლოვო ერთი საყვედურით: ერთი თვის წინად დუშეთისკენ მგზავრობის დროს ტელეფონის რამოდენიმე სვეტი წაქცეული დავინახე მცხეთაში ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსს ვსთხოვე ეზრუნა ტელეფონის შეკეთებაზე. ორი კვირის შემდეგ კიდევ იგივე სურათი დავინახე ქალაქში ჩამოსვლისას ეს გარემოება ვაცნობე ტელეფონის უფროსს. „მე მუშები უკვე გავაგზავნე ტელეფონის შესაკეთებლათო". მაგრამგავიდა სამი კვირა და არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა დანაკლისია მთელი დუშეთის მაზრისთვის უტელეფონობა. X.

ახალი ამბები

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო აცხადებს, რომ ცუდი ამინდის გამო გუშინ ღამით რადიო-სადგურს არ უმუშავნია და ამიტომ 3 სექტემბერს დილით ბიულეტენები არ მიგვიღიაო.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში მიიყვანეს 9 ხოლერიანი და 12 საეჭვო ავადმყოფი. გადაყვანილ იქნა საეჭვოდან ხოლერიანთა განყოფილებაში 4 კაცი, გაეწერა 6, მოკვდა 9 ხოლერიანი და 1 საეჭვო. 2 სექტემბერს საავადმყოფოში იყო დარჩენილი 74 ხოლერიანი და 22 საეჭვო ავადმყოფი.

◆ **გერმანიის მისიის ცნობით** ბაქოს ჯარებმა ამ დღეებში სცადეს გარსშემორტყმული ხაზის გარღვევა, მაგრამ ოსმალთა ჯარებმა მათ უკან დაახევინეს. ბაქოს ჯარებს დაცვის საქმეში სამხედრო გემები შველიან, რომლებიც ზღვის პირად მდებარე რკინის გზის ლიანდაგს ყუმბარებს უშენენ. ოსმალთა ჯარებს ახალი ძალები ემატება.

◆ **სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში მომქმედი ჯარების უფროს გენერალ-მაიორი გედევანიშვილი** და გუბერნიის კომისარის რწმუნებული პორ. გამსახურდია ატყობინებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მაზრაში კერძო პირებსა და საზოგადო დაწესებულებებს დიდი ზარალი აქვთ მიყენებული მეამბოხეთა მიერ და მათ საჭიროთ მიაჩნიათ მათი მეთაურების კერძო საკუთრების ქონების სრული კონფისკაცია და ითხოვენ ამის ნებართვას.

◆ **საქართველოს და ადერბეიჯანს** შორის სადავო საკითხების მოსაგვარებლათ შესდგა საარბიტაჟო კომისია.

◆ **მარილის აღმოჩენა.** 27 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმმა გიორგი არუთინოვის ქარვასლაში აღმოაჩინა 1500 ფუთი მარილი.

◆ **გზათა მიმოსვლის სამინისტრომ** გაგზავნა ტყიბულში ქვანახშირის დასამუშავებლათ თავისი წარმომადგენელი ორი გერმანელი ექსპერტის თანხლებით.

გუშინ ჩამოვიდენ თფილისში ოტომანის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში: აბდულქერიმ-ფაშა და იმავე მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში მამედ-ალი ფაშა.

◆ **თათბირი.** გუშინ დაიწყო კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლების თათბირი კავკასიაში რკინის გზებისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოწყობის შესახებ თათბირში მონაწილეობას ღებულობენ რესპუბლიკების წარმომადგენლების გარდა გერმანიისა, ოსმალეთისა და ავსტრიის წარმომადგენლები.

◆ **ტელეფონი.** უკანასკნელ დღეებში გახშირდა ტელეფონის აპარატების დაზიანება, რაც იწვევს აბონენტების უკმაყოფილებას და ჩივილს. ვაცნობებ საზოგადოებას, რომ მიზეზი ზოგიერთ ტელეფონის არა ნორმალურ მოქმედებისა მდგომარეობს იმაში, რომ ქალაქში არ იშოვება ბენზინი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დაზიანებულ კაბელების შესაკეთებლად. მიღებულია სასწრაფო ზომები ბენზინის საშოვნელად და ყველა დაზიანებული ტელეფონები დაუყოვნებლივ შეკეთდება. ოლქის უფროსი მგელაძე.

◆ **თფილისის ვაჟთა სასულიერო გიმნაზიაში** იხსნება მეხუთე კლასი, სადაც უეგზამენოდ მიიღებიან პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლებსა და სასულიერო სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი. ემატება მოსამზადებელ კლასებსაც პარალელური განყოფილებანი, გამოცდები დაიწყება სექტემბრის 15-დან (ახალ. სტ.) მასწავლებლები უნდა გამოცხადდენ 12-ში. სწავლის ფული სხვა გიმნაზიებთან შედარებით დაკლებულია.

◆ **ქალაქის კავშირის ყრილობაზე** ჩამოსულ წარმომადგენლებისათვის მომზადებულია ბინა სასამართლოს ქუჩაზე № 48. (ზუბალაშვილის სახლი), სადაც წარმომადგენლებს შეუძლიათ წასვლა პირდაპირ სადგურიდან.

◆ **თფილისის საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა საყურადღებოდ:** რადგან პირველ ენკენისთვეს არ შესდგა კრება აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლებისა კავშირის დასაარსებლად, ადგილობრივ მასწავლებელთა დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ კრება გადაიდო ხუთშაბათისთვის (5 ენკენ. ახ. სტ) საღამოს 6 ს. ამავე კრებაზე კავშირის დაარსების შემდეგ იქნება მეორე მოხსენება მასწ. ივანე როსტომაშვილისა. მასწავლებელთ ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ. ყოველ შემთხვევაში კრება კანონიერად ჩაითვლება. კადეტთა კორპუსი.

◆ **ახალი ჟურნალი.** მომავალ კვირას ქართულ და რუსულ ენებზე დ. თოფურიძის რედაქტორობით გამოვა ორკვირეული ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი". [illegible] დასმითმიჰყვება სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მუშაობას ფინანსიურ და ეკონომიურ დარგებში; აღნიშნავს ღირს-შესანიშნავ ფაქტებს მათი საქმიანობისას და მით ხელს შეუწყობს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მიერ საფინანსო და ეკონომიო პრობლემების წესიერად დაყენებასა და გადაჭრას. ჟურნალში შემდეგი პირები თანამშრომლობენ: ი. ანდრონიკაშვილი, პ. ანდრონიკაშვილი, რ. არსენიძე, ა სათიანი, ბერგი, პ გელეიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ნ. ელიავა, ი. ვარაზაშვილი, ტ. ვოიტინსკი, დ. თოფურიძე, კ. კანდელაკი, ე. კოზლოვსკი, ი. ლორთქიფანიძე, გ. მამრაძე, ტ. მარგველაშვილი, პ. საყვარელიძე, ი. ფაღავა, ი. შარაშიძე, შრამჩენკო.

◆ **საქართველოს მოხელეთა კავშირის საბჭო** ამით აცხადებს რესპუბლიკის დაწესებულებათა მოხელეების საყურადღებოთ, რომ მათ შეუძლიათ ჩაეწერონ წევრებათ საქართველოს რესპუბლიკის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში. ჩაწერა შეიძლება დილის 10—12 საათამდე კიროჩნის ქუჩაზე ეკონომიურ საზოგადოებაში. ყველა მოხელეს თან უნდა ჰქონდეს მოწმობა ვინ რომელ დაწესებულებაში მსახურობს. ჩაწერის გასაადვილებლად სასურველია თითეულმა დაწესებულებამ შეადგინოს მოსამსახურეთა სია და გაგზავნოს ერთი წარმომადგენელი ჩასაწერათ. თითოეული წევრი იხდის 22 მან. წლიურ გადასახადს და პაის ფულს.

◆ **ცეცხლის გაჩენა** 30 აგვისტოს, ჯარაშენოვის სახლს, მამუკინის შესახვევი № 5, ცეცხლი გაუჩდა; ზარალი უდრის 32 ათასი მანეთს.

◆ **ქურდობა.** ს. არაქელოვის და ვ. ნაზარბეკოვის ბინიდან № 12, ბოროტმოქმედებმა წაიღეს 70 ათასი მანეთის ნივთები და 30 ათასი მანეთი ფული.

◆ **დაცემა** 2 სექტემბერს ღამით, ბარონის ქუჩაზე, ბოროტგამზრახველებმა რ. გოზალოვს წაართვეს 15 ათასი მანეთი.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო არითმეტიკის ამოცანათა კრებული და სახელმძღვანელო ნაწილი პირველი რ. ხუციშვილისა და დ. პარკაძისა. წიგნი გამოცემულია ქუთაისში. ღირს 3 მ. 15 კ.

პროვინციის ქრონიკა

სვირის რაიონიდან 26 აგვისტოს ქუთაისში ჩამოიყვანეს და მოათავსეს საგუბერნიო ციხეში ქუთ მაზრის კომისრის პორუჩიკ ბაქრაძის განკარგულებით დატყვევებული 27 კაცი, რომელთაც ბრალდებათ აგვისტოს პირველ რიცხვებში სვირის რაიონში მომხდარ ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობის მიღება. მათი დაკავების შემდეგ სვირის რაიონში არავითარ თავდასხმას არ ქონია ადგილი. საზოგადოება მოითხოვდა მათ თვითგასამართლებას, მაგრამ მაზრის კომისარმა მისცა მათ სიტყვა, რომ ისინი სასტიკათ დასჯილნი იქნებიან. მაზრის კომისარი ამის შესახებ ვრცელ მოხსენებას უდგენს ქუთ. გუბერნიის კომისარს და პროკურორს, სადაც მოითხოვს ეს დაკავებულნი პირნი არ იქმნენ განთავისუფლებულნი, ვიდრე მათი საქმე სასამართლოში არ იქნება გარჩეული. როგორც გამოირკვა, ერთი ყაჩაღი გამოტყდა. სულ ყოფილა ბრბო 35 კაცისაგან შემდგარი და ეს ბრბო მორიგეობით სხვადასხვა ადგილზედ ახდენდენ თავდასხმას.

ამაღლება (გურია). 24 აგვისტოს საშინელმა ნიაღვარმა სულერთიანად წალეკა ყანები, ბაღები, ეზოები და აუწერელი ზარალი მიაყენა საზოგადოებას.

სოფ. ტობანიერი (ქუთ. მაზრა). ერთი თვეა, რაც ამ საზოგადოებაში დაარსდა სახალხო გვარდიის შტაბი. შტაბს ჰყავს შეიარაღებული სამედო გვარდიელები ოცდა ხუთ კაცამდე, რომლებმაც მოაწყვეს ყოველ დღიური მორიგეობა. გვარდიელები მოქმედებენ საუცხოოთ. უმეტესი ნაწილი ეგრედ წოდებული წერაქვის ბანდის მეთაურებისა დაატუსაღეს დ სამტრედიის სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალს გადასცეს... ამავე შტაბმა, გაიგო თუ არა, რომ სოხუმის ცნობილი გმირი ამბერკი ურუშაძე იმალება ს. ისრითში (ვანის საზოგადოება). დაატყვევა ის დ წარუდგინა მთავრობას, ბოჭავს ყოველივე სახაზინო იარაღს, სახაზინო ნივთებს და ამ რიგათ დაამყარა საზოგადოებაში სრული წესიერება. ეხლა დარჩენია შტაბს ერთად-ერთი სამხედრო პირების მობილიზაცია, რაზედაც ელის მთავრობის განკარგულებას. მკითხველის ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ დღევანდელი მომენტი არის რევოლიუციის მესამე პროცესი და სწორედ ეხლა ემჩნევა დემოკრატიას მოქანცვა. ტობანიერის საზოგადოების მოწინავე დემოკრატია კი ამ მეტად მძიმე ხანაში მესამე რევოლიუციის პროცესში, იღებს ხელში იარაღს და უდგება რევოლიუციით მონაპოვართა განმტკიცებას. ვუსურვებ მათ მომავალში დაუღალავ ენერგიას.

— ეს საზოგადოება უკვე დაუკავშირდა ქ. სამტრედიას და მის რაიონებს ტელეფონით, ასეთი დიად კულტურას ხალხი აღფრთოვანებით შეეგება. მოკლე ხანში მთავრობამ დაგვპირდა ფოსტა-ტელეგრაფის დაარსება.

— საზოგადოებას არ აქვს საკმარისი შენობები სასწავლებლისათვის. საშკოლო კომიტეტმა და აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს კითხვა ჯერ-ჯერობით ვერ მოაგვარა, რისთვისაც მოსალოდნელია ცუდი შედეგი.

ერობის არჩევნებმა ჩვენდა სასარგებლოდ ჩაიარა. ზოგიერთ აქაურ ჩარჩ-ვაჭრებს ბლომათ გამოუტანათ მეორე ნომრის ბიულეტენები და ეწეოდენ აშკარა აგიტაციას, რომ ჩვენ ვართ მდიდრები და ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ თქვენი საქმე, სოციალისტები კი ღარიბებია და იმათმა წაახდინეს თქვენი საქმეო, მაგრამ მათ ვერ შესძლეს აქაური ხალხის მოტყუილება და სასტიკად დამარცხებული დარჩენ, („ს დ".).

ქალაქის საბჭო.

(2 სექტემბრის სხდომა).

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

პირველ კითხვათ დღის წესრიგშია საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და ქალაქის მდივნის არჩევნები. თავმჯდომარეთ ასახელებენ ალ. ლომთათიძეს (ს. დ.) მის ამხანაგებათ თუმანოვს (ს. რ). და იაგჯიანს (დ. შ ქალაქის მდივნათ ერთხმათ ასახ გ. ხახანაშვილს. [illegible] რე ალ. ლომთათიძემ ყუთი [illegible] დროებით [illegible] ძე დახურული კენჭის მიცემით თავ მარეთ არჩეული იქნა ლომთათი თეთრი და 3 შავი ხმა მიიღო. მის ნაგებათ არჩეული იქნენ თუმანო იაგჯიანი. მდივნათ ერთხმათ არ იქნა ხახანაშვილი. ხმოსანი პარ. ეკითხება თავმჯდომარეს არიან თუ არჩეულნი საქართველოს რესპუბ ქვეშევრდომნი?

არსენიძე უპასუხებს გოთუას ნიშნავს, რომ მგონია ამორჩეულ იციან თავიანთ უფლება და მოვა ბანი. თუ თქვენ იცით და გაქვთ ცნობები ამა თუ ხმოსნის შესახებ გიძლიანთ შემოიტანოთ განცხადება კითხვა და საბჭო გაარჩევს და ტანს თავის დადგენილებას. ეხლა კი დესაც არ გვაქვს არავითარი და ლება მთავრობისა, რომ მოვთხ ხოლმე ხმოსნებს საბუთები მათი საქა ველოს ქვეშევრდომებისა. „ობისკი" ნი საქმე არ არის, ჩვენს კომპეტენ ში იგი არ შედისო. თავმჯდომა ალაგს იჭერს ალ. ლომთათიძე, რო ლიც თავის მოკლე სიტყვაში უ საბჭოს მადლობას ხელმეორეთ ნდო გამოცხადებისათვის.

განსახილველია დელეგატების არ მომავალ ქალაქთა კავშირის ყრილო ბაზე.

ფრაქციათა შეთანხმებით არჩეულ იქნენ დელეგატებათ. სოც.-დემ. ან. აბრიშვილი, ალ. ლომთათიძე და ბრ სკი. სოც. რევ.—ნ. ალ. თარხნიშ დაშნ ზარგარიანი და ამირხანოვი. ს ჭომ უკამათოდ მიიღო ქალაქის გამგ ბის მოხსენება: მიეცეს ყოფილი სამ თო სჯულის მასწავლებელ ა. ს. ლ ნიძეს პენსია თვეში 200 მან. და რეთვე სუკიასოვს, რომელიც მსახურ და ქალაქის თვითმართველობაში წელზე მეტი და ექიმების შემოწმებ დაკარგა შრომის უნარი. საბჭოს დად ნილებით მას მიეცემა დახმარება ყ ველ წლიურად 1590.

ქალ. თავი ნ. ელიავა აღნიშნავს, რომ საჭიროა დახმარების და პენსიების ს მეები მოგვარდეს. ეხლა, როდესაც ვ ნიშნავთ ჩვენ ამა თუ იმ მოსამსახურ ებს დახმარებას ვხელმძღვანელობთ სიძვირის გამო არსებულ ჯამაგირებით. ეს ერთგვარი უკანონობა იქნება იმ მო სამსახურეთა მიმართ, ვისაც პენსია წ ნათ დაენიშნა. საჭიროა ამ საკითხის ყო

გერმანიაში

IV

ბერლინში მისვლისათანავე საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურმა დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრ აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით გამართა თათბირი და შეიმუშავა მოქმედების გეგმა. დელეგაციის თვითეულს წევრს განსაკუთრებული მისია დაეკისრა ყველა საქმეს შეუდგა.

როგორც წინა წერილში მოგახსენეთ, ჩვენ დელეგაციის ოფიციალური წევრი არ ვყოფილვართ. სოციალ დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტმა განსაკუთრებული მანდატი მომცა და ამ მანდატის ძალით ჩვენ მხოლოდ გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის წევრებისათვის უნდა გაგვეცნო აქაური ვითარება და მათთვის გვეთხოვა პრესაში თუ რეიხსტაგში მხარი დაეჭირათ ჩვენი დამოუკიდებლობისათვის და ამ გზით უზრუნველეყოთ ჩვენი პოლიტიკური და ფიზიკური არსებობა.

ოფიციალურმა დელეგატებმა დაიწყეს მუშაობა. მათ უმალვე მთავრობისა და საზოგადოების წრეებში საქართველოს ერის არსებობა, მისი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა პოპულიარული გახადეს. საზოგადოების ყველა ჯგუფი ახმაურდა.

უნდა ითქვას, რომ ვიდრე საქართველოს ოფიციალური დელეგაცია ბერლინში ჩავიდოდა ამიერ კავკასიის და საქართველოს შესახებ ბევრი რამ დაიწერა და ეთქვათ როგორც პრესაში, ისე საჯარო კრებაზე. ამ მხრით ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს შესახებ სეიმის ყოფილმა წევრმა ერიკ ადოლფის ძე ბერნშტეინმა ბევრი გააკეთა.

იგი ჯერ კიდევ ამიერ კავკასიის რესპუბლიკის დროს ამავე მთავრობის დავალებით გერმანიაში გაიგზავნა, რათა იქ გერმანიის მთავრობისათვის და საზოგადოების ყველა წრისათვის დაწვრილებით გაეცნო ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა და ოსმალეთის მთავრობის თავხედობა.

კონსტანტინეპოლში მისვლამდე იგი ტრაპიზონის მახლობლათ ბათუმის კონფერენციაზე გამოგზავნილ გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე გენერალ ფონ-ლოსოვს შეხვდა და მას გზაშივე გააცნო ოსმალეთის მთავრობის დიპლომატიური ოინბაზობა.

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის მთავრობა, როგორც გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები შემდეგში ირწმუნებოდენ, ამიერ-კავკასიის შესახებ საქმის ვითარებას ყოველმხრივ მათ არ აცნობდა და ეუბნებოდა მხოლოდ იმას, რაც მისთვის და მისი ამიერ-კავკასიაში გაბატონების პოლიტიკისათვის საჭირო და ხელსაყრელი იყო.

გენერალ ფონ-ლოსოვმა ე. ა. ბერნშტეინი ბათუმში წამოიყვანა და აქედან საგანგებო გემით კონსტანტინოპოლის გზით გერმანიაში გაისტუმრა.

თავისთავად საგულისხმოა, რომ ბერნშტეინის ნალაპარაკევი ოსმალეთის მთავრობისათვის და მათი წარმომადგენლებისათვის დაფარული არ დარჩა. ბერნშტეინს მტრულისა და უნდობლობის თვალით დაუწყეს ცქერა.

მას ამ ნიადაგზე კონსტანტინეპოლში მრავალი უსიამოვნება შეხვდროდა და თუ არ კონსტანტინეპოლში მყოფი გერმანიის ელჩის გაბედული დახმარება, იგი ბერლინში წასვლას ვერც მოახერხებდა თურმე.

მაგრამ ე. ა. ბერნშტეინმა ენერგიული მეცადინეობით მაინც შესძლო ბერლინში გამგზავრება და თავისი მისია პირნათლად შეასრულა.

ბერნშტეინი ვალში არ დარჩენია ოსმალეთის მთავრობას: ყველაფერი გადაუხადა.

მან საზოგადოებისა და მთავრობის ყველა სფეროები ინახულა, ყველგან ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის ვერაგობა გამოააშკარავა.

ბერნშტეინი და მისი გვარი საკმარისათ ცნობილია ბერლინის აკადემიურ წრეებში. მისი მამა სამოციან წლებში გერმანიის დემოკრატიული ორგანოს შეფ-რედაქტორი იყო და მას იმ დროის საზოგადოება და მომავალი თაობა კარგათ იცნობდა. გარდა ამისა, ერიკ ბერნშტეინს ჰყავს რამდენიმე ძმა აკადემიურათ განათლებულნი, რომლებსაც ბერლინის ინტელიგენტურ და დემოკრატიულ წრეებში კარგათ იცნობენ.

ამათი დახმარებით ე ა. ბერნშტეინს საშუალება მიეცა საზოგადოების ყველა წრეებში ამიერ კავკასიისა და შემდეგში საქართველოს შესახებ მოხსენებები გაეკეთებია და მათი ყურადღება აქეთ მიეზიდა. აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ბერნშტეინს დიდათ უადვილებდენ საქმეს ამიერ-კავკასიის გერმანელთა კოლონიების ნაციონალური საბჭოს წევრები—სახელდობრ, თევდორე ჰუმელი, რომელიც უკანასკნელი სპეციალურად „ალტდოიტშე-ფერეინებში" (არქიული საზოგადოებაა) დადიოდა და იქ კითხულობდა მოხსენებებს ამიერ-კავკასიისა და საქართველოს შესახებ.

ერთი სიტყვით, ბერნშტეინმა ფართო საზოგადოება ჩვენი დელეგაციის მისვლამდე ყოველ მხრივ დააინტერესა.

პრესა და საზოგადოება ალაპარაკდა. ჩვენს იქ მისვლის დროსაც მან მრავალი მოხსენებები წაიკითხა.

უნდა ვსთქვათ, რომ გერმანიის ბურჟუაზიული წრეები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები დიდის ყურადღებით ისმენდენ. არ იყო ისეთი გაზეთი, რომელსაც რამდენიმე წერილი არ ეძღვნა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისათვის. არამც თუ სატახტო გაზეთები პროვინციის ორგანოები და გერმანიის სხვადასხვა სამეფოების გაზეთებიც სწერდენ.

როგორც კი ჩვენი დელეგაცია მივიდა და გერმანიისა და ცენტრალურ სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებს ოფიციალურათ აცნო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადდა, ამის შემდეგ გერმანიის საზოგადოებამ ამ საკითხს მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და ყველგან და ყველა სფეროებში მის უზრუნველყოფლობას მოითხოვდენ.

ე. ა. ბერნშტეინი—ამის შემდეგ შეუდგა საქართველოს საკითხის გაშუქებას. მის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფლობას მოითხოვდა. სპეციალურად რამდენიმე საჯარო მოხსენება საქართველოს შესახებ გამართა და გერმანიის საზოგადოებას ჩვენ ისტორიულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას აცნობდა.

ხშირათ დავესწრებივარ ასეთ კრებაზე. სხვათა შორის ერთ ერთ ასეთ მოხსენებას დაესწრო გერმანიის ცნობილი იმპერიალისტი რორბახი. დასახელებულ მოხსენებას ბერნშტეინმა სარჩულათ დაუდვა ამიერ კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიური მნიშვნელობა და მისი მნიშვნელობა გერმანიისთვის და საზოგადოთ ცენტრალურ სახელმწიფოებისათვის. კრების თავმჯდომარე იყო ბერლინის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი ელსტერი. მოხსენება ერთობ აზრიანათ იყო შემუშავებული და მსმენელებიც დაკმაყოფილდენ. მოხსენების შემდეგ კამათი გაიმართა. მოკამათეთა შორის სიტყვა აიღო ცნობილმა რორბახმა. მას ახლა საშუალება მიეცა თავისი იმპერიალისტური პოლიტიკა დამსწრე საზოგადოებისათვის გადაეშალა. მოკლე სიტყვაში აღნიშნა გერმანიის მილიტარიზმის ძლევა-მოსილება და აღმოსავლეთისაკენ გერმანიის ინდუსტრიისათვის გზის გაკაფვა. რასაკვირველია, მოხერხებულმა იმპერიალისტმა საკითხი ისე გააშუქა, საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობა ისე დაასაბუთა, თითქოს იგი გერმ. კაპიტალისათვის, გერმანიის საგარეო პოლიტიკის გაძლიერებისათვის აუცილებელი საჭირო იყოს. მან, სხვათა შორის, სთქვა: ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკა დღითი დღე მკვიდრ ნიადაგზე სდგება. შავი ზღვის კარები გაგვეხსნა. მდ. დუნაით კავკასიას მივადექით და კავკასიის ბედს, საქართველოს, მეგობრულათ დავუკავშირდითო. ვისაც უნდა აზიაში ფეხი მოიკიდოს, იგი უპირველეს ყოვლისა საქართველოში უნდა გამაგრდეს, აქ მოიპოვოს მეგობრული განწყობილება, უზრუნველჰყოს ამ ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლება და შემდეგ შეუდგეს შორეულ ბაზრებზე თავისი ნაწარმოების გასაღებას და იქიდან ჩვენი ინდუსტრიისათვის საჭირო ნედლი მასალის შემოტანასო.

რორბახმა ერთგვარი უკმაყოფილება გამოსთქვა, რომ გერმანიის მთავრობა ოსმალეთის დესპოტიზმს მშვენიერ საქართველოს საჯიჯგნათ აძლევს და მის დამოუკიდებლობის ნიადაგზე ამ თავიდანვე გაბედულ ნაბიჯს არ სდგამსო. იმპერიალისტის „გულწრფელი" საყვედური იქ დამსწრე საზოგადოებას ჰქუაში დაუჯდა და მას მოწონების ნიშნათ ვაშა შესძახეს.

გერმანიის იმპერიალისტებს ნატვრა შეუსრულდათ. აღმოსავლეთისაკენ გაწევის ოცნება სინამდვილეთ გადაიქცა და ისინიც პოლიტიკაში აქტიურათ ერევიან. ხუმრობა საქმე კი არ არის,—გერმანია შავ ზღვაზე გამოვიდა, იგი კავკასიას დაუახლოვდა, აქ მან შავი ზღვის ნაპირას „პორტი" გაიკეთა და აქედან შეუძლია ამიერ-კავკასიას, თურქესტანს და სპარსეთს მიუახლოვდეს. ვისაც უნდა დასახელებულ ადგილებში ეკონომიურათ გაბატონდეს, შორეული ბაზარი უზრუნველყოს, იმან აუცილებლათ საქართველოს ტერიტორიაზე მისადგომი ადგილი უნდა ქონდეს, საქართველოს ხალხთან მტკიცე კავშირი უნდა დაიჭიროს. წინაამდეგ შემთხვევაში მას მცირე აზიაში შესასვლელი კარები უნდა დაეხშოს. და გზა ცეცხლითა და მახვილით უნდა გაიკაფოს.

გერმანიის იმპერიალისტებმა ძალიან კარგათ იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ მომავალ ვაჭრობა მრეწველობისათვის ამიერ კავკასიას და განსაკუთრებით კი საქართველოს.

მაგრამ ისიც კარგათ იციან, რომ ამ თავიდანვე მომავალში ეკონომიური ბატონობის განმტკიცების გულისათვის ახლავე პოლიტიკური ბატონობის დაწყება, და საქართველოს შინაურ ცხოვრებაში ჩარევა მათ მიზანს დიდ ზიანს მიაყენებს. ამიტომაც არის, თვით ტიპიური იმპერიალისტები, როგორიც არის რორბახი და კომპანია, ასე ფრთხილათ იქცევიან და თავიანთ მთავრობიდან საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდენ.

თუ არ ეს გარემოება, სად იმპერიალისტი რორბახი და სად მისი ასეთი „ჰუმანიური" საგარეო პოლიტიკა.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიის მთავრობას უკრაინაში ერთგვარი მარცხი მოუვიდა: ყოველი ჯურის იმპერიალისტები მოლბენ და ცეცხლითა და მახვილით ბაზრების გაფართოვებას ერთგვარი უნდობლობით დაუწყეს ცქერა.

არამც თუ რორბახი, თვით მართველი წრეებიც კი შეფიქრიანდენ. ისინი საგარეო პოლიტიკაში ერთგვარ წინდახედულობას იჩენენ.

ამიტომაც იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს და მის არსებობის უზრუნველყოფას გერმანიის ბურჟუაზიული პარტიები, მათი პრესა სიმპატიურათ შეხვდა თუ კრებაზე და რეიხსტაგში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებელ არსებობას მოითხოვდენ.

რორბახის გარდა ზემოდ დასახელებულ კრებაზე სხვა ორატორებიც გამოვიდენ და ხმა შეწყობილად ერთსა და იმავეს იმეორებდენ. ჩვენ, ამბობდენ ისინი, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა განვამტკიცოთ და იგი ოსმალეთის შესევისაგან უნდა ვიხსნათო.

ამათ გარდა ე. ა. ბერნშტეინის მოხსენებას დაესწრო ერთი სოციალ-დემოკრატიც. „იომის" ეშმაკი არსად გამოილევა, ისიც მოსულიყო ამ კრებაზე, რათა გაეგო ცისა და ქვეყნის ამბავი.

გერმანიის სოციალ დემოკრატიულ პარტიაში პარტიული ტრადიციაა, ერთგვა-

რიგ გაშუქება და მისი მოგვარება გადაწყვიტა ეს საკითხი გადასცეს ას. საბჭო გადადის ქალაქის 1918 ბიუჯეტ ალიცხვის მუხლობრივ განხილვაზე. შემოსავალი განხილული და ული იქნა მცირე კამათის შემდეგ. ლის ხარჯები ვერ იქნა განხილული, რადგანაც დარბაზში საკმაო რიცხვი ხმოსანთა აღარ აღმოჩნდა და თავმჯდომარე იძულებული იყო კრება რა.

შენიშვნები

ჟორდანიას მოხსენების გამო)

ა წერილში აღვნიშნე, რომ შეიძ- პარლამენტი დიდ ბოროტებათ ქცეს, თუ მისი ძალა - უფლების რივი საზღვარი ვერ ვიპოვეთ: მო- ს თვითმპყრობელობის მაგიერ პარ- ლისა ან კაბინეტის თვითმპყრობელობა კი—ეს იგივე იქნება, ცეცხლს თავი დავახწიოთ და ალში ჩავვარ- ასეთი საზღვრების აუცილებლობა რძნობენ და მას კიდევაც პოულობენ თით პარლამენტის აგებულობაში. აზრით საკმარისია ორპალატიანი ამენტის შექმნა, რომ ბოროტებას ლი აღარ ექნეს: კანონის გამოსა- საჭიროა ორივე პალატის თანა- ა (და მონარქის, ან პრეზიდენტის ური); თუ ერთმა პალატამ ავი რამ ზრახა, მეორე არ დაეთანხმები და ნაც აღარ გამოცემაო.

მდვილათ კი ცხოვრებაში ასე ხდება ზედა პალატა მართლაც ხშირად ბება წინ დაბლა პალატის სურვი- ს, მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც კანასკნელი რაიმე გაბედულ ნაბიჯს მს პროგრესისაკენ. ჩვენ ვხედავთ, დაბლა პალატაში მიღებული დე- რატიული პროექტები იმარხება ზე- პალატაში.

ორე პალატას პროგრესიულ მის- ფებათა ჩაკვლა უფრო ეხერხება, ე პარლამენტის თვითნებობის შე- დვა.

რავალი საბუთი მოყავთ ორპალა- ნ სისტემის სასარგებლოთ, მაგრამ ი ამ საბუთთაგანი ყველაზე უფრო ფილია: „სახელმწიფოში მუდამ ვებიან კაცები, წარჩინებულნი ჩა- ვლობით, სიმდიდრით, დამსახურე- —ამბობს მონტესკიო: მაგრამ ისინი დანარჩენ ხალხს შევურიოთ და მხო- ლ სხვების თანასწორი ხმის უფლება ეთ, მაშინ საერთო თავისუფლება თვის მონობათ გადაიქცევა და აღარ ბათ სურვილი დაიცონ ის, რადგან რთო დადგენილებათა უმრავლესობა ნაალმდეგ იქნება მიმართული. მა- კანონმდებლობაში მონაწილეობა ა მათ უპირატესობათ უნდა უდრიდეს, კი ასე იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი დგენენ განსაკუთრებულ კორპუსს, რომელსაც უფლება ექნება შეაჩეროს ხალხის დადგენილებანი სწორედ ისე, როგორც ამ უკანასკნელს შეუძლია პირველის დადგენილებათა შეჩერება. ამ გვარად კანონმდებლობითი ბრძანებლობა უნდა იბარებოდეს კეთილშობილთა კორპუსს და იმას, რომელიც არჩეულია ხალხის წარმომადგენლად. ამავე დროს თვითოეულ მათგანს უნდა ქონდეს ცალკე კრებები. თათბირები და თავისი განსაკუთრებითი ინტერესები".

ასეთი საბუთი დღეს ვეღარავის დააჯერებს, ასეთი თეორია დემოკრატიას ვეღარ მოხიბლავს. დღეს ის თავის უფლებებში შედის, ყველაფერს თავის კონტროლის ქვეშ აყენებს, თვით პარლამენტსაც კი.

ამ უკანასკნელის ნებისყოფას „ბუნებრივი" გამსაზღვრელი მისი მეორე ნახევარი კი არ ყოფილა, არამედ ხალხის საერთო ნება.

იქმნება და მაგრდება პრინციპი, რომლის ძალითაც კანონი მხოლოდ ის არის, რასაც პარლამენტი დაადგენს და ხალხი მოიწონებს.

შემოდის ხმარებაში რეფერენდუმი.

ის დემოკრატიული პრინციპის ლოღიკური შედეგია.

თვით ხალხს არ ეხერხება რთული კანონების გამომუშავება და დადგენა, მაგრამ მას შეუძლია სთქვას, რაა კარგი და რა ცუდი, შეუძლია დააფასოს, დაადასტუროს ან უარყოს წარდგენილი პროექტი კანონისა.

უნდა სიმართლე ვსთქვათ, ამ ინსტიტუტს ყოველგან საკმაოდ მომზადებული ვერ შეხვდა დემოკრატია. ამიტომაო—აღნიშნავენ—რეფერენდუმმა თუ დიდი ბოროტება არ მოიტანა, ყველა შემთხვევაში ბევრი კარგი რამ შეაჩერა და ისეთი იმედები აღუძრა დახავსებულ წყობილების ნოციქულებს, რომ უკანასკნელნი თვით მოითხოვენ რეფერენდუმს, რათა ის თავის სასარგებლოდ გამოიყენონო.

ნ. ჟორდანიას მოხსენების აზრით რეფერენდუმი ადრე ჩვენი კანონმდებლობის ფაქტორად უნდა გახდეს. ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რა სახას იქნება ის, მაგრამ ყველა შემთხვევაში შეუძლებელია იმის მოლოდინში ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქის გულმა უფრო მძლავრად არ იწყოს ძგერა

გაუძლებს ჩვენი გლეხი პოლიტიკურ სიმწიფეზე გამოცდას, თუ ვერა,—აი კითხვა, რომელიც უნებურად იბადება.

დიდი რწმენა და იმედი უნდა ჰქონდეს ხალხის იმას, ვინც პირველად სთქვა, რომ ჩვენი ერი საკეთილოდ მოიხმარს რეფერენდუმსო.

ალფა ციხკარიძე.

არჩევნები პროვინციაში

ლანჩხუთის საზოგადოება. ამ საზოგადოებაში სამი სოფელი შედის: შუხუთი, ჯონჯუათი და ორაგვე. პირველი სოფელი ქალაქის ერთ მხარეზე, მეორე და მესამე მეორე მხარეზე, თვით ქალაქი საზოგად. არ შედის. ამიტომ ერობის არჩევნებში ყუთი დაიდგა ორ ადგილას: შუხუთში და ჯონჯუათში. კანდიდატთა სია იყო ორი: № 1—სოც. ბლოკის და № 2—ნაც. დემოკრატებისა. არჩევნებმა მოგვცა ასეთი შედეგები:

	ამრჩეველთა რიცხვი	ყუთთან მოვიდა	№ 1 მიიღო	№ 2 მიიღო	ფუჭად ამოვიდა
სოფელ შუხუთში	1000	938	937	0	1
ჯონჯუათი და ორაგვე	494	436	436	0	0
სულ საზოგადოებაში	1494	1374	1373	0	1

როგორც ცხრილიდან სჩანს, ყუთთან მისულა ს. შუხუთში ამრჩეველთ 94 პროც. ჯანჯუათ-ორაგვეში 88 პროც. ყველას ხმა მიუცია № 1 სთვის. ეს უკანასკნელი გარემოება არ არის გასაკვირი, რადგანაც ხალხში სავსებით დამკვიდრებულია ს. დემოკრატიული ორგანიზაცია. მხოლოდ საყურადღებო და გასაკვირიც ის არის, რომ თითქმის მთელი ხალხი მონაწილეობს არჩევნებში. არც ერთი ხმას არ კარგავს. დღეს, როცა მთელი რესპუბლიკის სოფლები და ქალაქები პოლიტ. აპატიას შეუპყრია და ზოგან 20 პროც. ძლივს მიდის ყუთთან, როცა თვითონ ქალ. ლანჩხუთში 40 პროც. ამრჩევლები მონაწილეობენ არჩევნებში, ამ დროს დასახელებულ საზოგადოებაში, როგორც ზოგ სხვა გურიის სოფლებში, მთელი ხალხი მოდის საარჩევნო ყუთთან! ახსნა ამ მოვლენის, ჩვენის აზრით, მხოლოდ ერთში მდგომარეობს: ეს არის ენერგიული და შეუწყვეტელი მუშაობა ადგილობრივ ამხანაგებისა, მთელი ტვირთი მუშაობისა აქ ყოველგვარ საზოგადო საქმეებში და ცხადია, არჩევნებშიც, აწევს ს. დ—ულ ორგანიზაციას, ჩვენი ამხანაგები აქ უსასყიდლოთ კისრულობენ ყოველგვარ მუშაობას, რომელიც კი საჭიროა ხალხისა და რესპუბლიკისთვის.

კერძოთ ს. შუხუთში მოწინავე ამხანაგები დროზე შეუდგენ არჩევნების სამზადისს. კითხულობდა მოხსენებები, როგორც პარტიულ კრებებზე, ისე საგანგებო მასსიურ კრებებზე. ამხანაგები კისრულობენ, საგანგებო მიტინგის მოწვევასაც, ხალხის აღწერასაც და იმავე დროს პროპაგანდა-აგიტაციას. არჩევნების დღეებში ამხანაგები შეუსვენებლივ მუშაობდენ არჩევნებისთვის შესაფერი ელფერის მისაცემათ და ხალხის მოსაყვანათ. ნაყოფს ნათლად ვხედავთ! მთელი ხალხი ჩვენ მოგვყვება. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონ სხვა კუთხეების ამხანაგებმაც, მაგ., ქ. ლანჩხუთის არჩევნების ასე უფერულად ჩატარება (ამრჩეველთა 40 პროც მონაწილეობა) ვერაფერი სახელია ლანჩხუთელი მოწინავე ამხანაგებისათვის, ვინაიდან იბადება კითხვა: რათ ჩამორჩა ასე ეს ქალაქი თავისავე ნაჭერ სოფლებს? და ამ კითხვაზე პასუხი ერთად ერთია—უმუშევრობის გამო.

საჭიროა ამას დაუფიქრდენ ჩვენი ამხანაგები.

კენძი

პარტიული დადგენილება: როცა თუ იმ რაიონში ბურჟუაზიული პარ- ა ამა თუ იმ კითხვის შესახებ საჯა- მოხსენებას აწყობს თუ კრებას მარ- ვს, დასახელებული რაიონის მოწინა- წევრი, ან კოლექტივის ხელმძღვანე- კრებას უნდა დაესწროს და დისკუ- ში მონაწილეობა მიიღოს. ხშირად კითხავს სოც.-დემ. გაზეთში, რომ მელიმე რაიონის ხელმძღვანელ სწერს ოგონებენ, რომ დღეს ამა თუ იმ ანში ბურჟუაზიული პარტია პოლი- ური შინაარსის საჯარო კრებას თავსო და ურჩევს მოწინავე ხელ- ვანელთ კრებას დაესწრონ და სა- ნაალმდეგო აგიტაცია გასწიონ. როცა ჟუაზიულ კრებაზე ბურჟუაზიის რო- ლიმე ცნობილი პოლიტიკური ხელ- ვანელი გამოდის, მაშინ თითონ რე- ქცია შესაფერ მოწინაალმდეგე ძალას ვენის.

ი. ა. ბერნშტეინის მოხსენებაზე და- წრებით პარტიიდან საგანგებო დანიშ- ლი ორატორი არ ყოფილა. მონაწილეო- მიიღო რაიონის წარმომადგენელმა. მან რნათლად შეასრულა თავისი მოვა- ობა. მომხსენებელსა და ბურჟუა- ულ პარტიის წარმომადგენლებს შე- ფერი პასუხი მისცა. მან უმთავრესათ ეხვა პრინციპიალურ ნიადაგზე და- ენა და საქართველოს დამოუკიდებ- ობის საკითხს პრინციპიალურათ დაუ- რა მხარი. მხოლოდ მან მომხსენებელ- და რორბახის კამპანას უნდობლობა მოუცხადა. მან დაახლოვებით შემდეგი თქვა: ჩვენ, სოციალ-დემოკრატები მუ- ამ და ყოველთვის ერთა თვითგამორ- ვის მომხრენი ვართ და თუ ერის მრავლესობა მოითხოვს და სურს უსეთიდან გამოყოფა, ჩვენ წინაალმდე- არ ვიქნებით. მაგრამ არ ვიცით ქმის ნამდვილი ვითარება, არ ვიცით რთლა მოითხოვს საქართველოს დემო- ატია რუსეთიდან ჩამოყოფას და საკუ- არ პოლიტიკურ არსებობას ეტრფისო. ნდაც ეს ასე იყოს ჩვენ მაინც იმედი არ გვაქვს რორბახს და მისმა კამპანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა უზრუნველჰყონ და მათზე საქართველოს ხალხი რაიმე იმედებს ვერ დაამყარებსო. ერთი სიტყვით, მან არ ირწმუნა ბერნშტეინის წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიისა და კერძოთ საქართველოს საქმეებში და მთელ კრებას პროტესტი განუცხადა. როცა მომხსენებელმა საპასუხო სიტყვა აიღო და განუმარტა, რომ ჩვენ შორის არის საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტის წევრი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვსო, იგი ჯერ გაწბილდა და შემდეგში თანხმობა განაცხადა: თუ სოციალ-დემოკრატია და მისი მიმდევრების უმრავლესობა მოითხოვს,—ჩვენ მაგის წინააღმდეგ არაფერი გვაქვს და შეძლების მიხედვით მხარს დავუჭერთო. მხოლოდ მაინც სთქვა: რორბახების და მისი მთავრობის იმედი არ გვაქვს, რომ მათ საქართველოს დამოუკიდებლობა უზრუნველჰყონ, რომ მათი დაპირება გულწრფელი იყოსო.

ჩვენი დელეგაციის მისვლამდე გერმანიის საზოგადოება უკვე იცნობდა ამიერ-კავკასიის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ურთიერთობას და საქართველოს დელეგაციას ნიადაგი ჰქონდა მომზადებული უფრო ადვილათ და დაწვრილებით გაეცნო ახალი დემოკრატიული რესპუბლიკის ვითარება.

მთავრობა და პრესა უკვე ბევრს ლაპარაკობდა და ჩვენმა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მომზადებული ნიადაგი ჰპოვეს. ჩვენი დელეგატების მისვლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ბევრს ლაპარაკობდენ და სწერდენ სხვადასხვა წრეებში, მოითხოვდენ მისი პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფას.

ვლ. ახმეტელაშვილი.

ბაქოს გარშემო

ეხლანდელი ბაქოს მდგომარეობით გამოწვეულმა პირობებმა, მრავალი ბაქოში და მის მიდამოებში მყოფი ქართველობა იძულებული გახადა სამშობლოში გარდმოხვეწილიყო; მეტადრე ბაქოს მიდამოებში მოხვედრილი ქართველობა, ოსმალოს ჯართა უფროსის განკარგულებით, ვითომ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თხოვნის თანახმად, იძულებული არიან იქიდან გარდმოიხვეწონ, რაც ხდება აუტანელ პირობებში. ზოგს მათგანს, რომლებიც საეჭვოდ მიაჩნიათ კიდევაც იჭერენ და რა ბედი მოელის ძნელი სათქმელია.

გარდა ამისა, თუ ოსმალოს ჯარმა, ადგილობრივი თათრების დახმარებით ბაქო აიღეს ბევრ ქართველობას და განსაკუთრებით ჩვენს თანამოაზრეებს მოელის დიდი საფრთხე. იმათი გაჭირვების შესამსუბუქებლად და საფრთხის რამდენიმეთ თავიდან ასაცილებლად საჭიროა მთავარ ოსმალოთა ჯარების მთავარ შტაბთან ოსმალეთის წარმომადგენელთან შეთანხმებით დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელიც იკისრებს გარდმოხვეწილთა ხელმძღვანელობას და ოსმალოთ ბაქოში შესვლის დროს, თუ კი ეს მოხდა, მიიღებს თავის თავზე იქ მცხოვრებ ქართველთა დაცვას. ეს არც ისე დიდს ხარჯებს გამოიწვევს და სარგებლობას კი დიდს მოუტანს ბაქოში დარჩენილ ქართველობას.

ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხს ჩვენმა მთავრობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება იმ გარდმოხვეწილებს, რომლებიც თბილისში იმყოფებიან და გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან.

შ. რ—ლი.

მოვალეობის მსხვერპლნი

პორუჩიკი სამსონ გრიგოლის ძე ღლონტი.

კუბო, კუბო, ოთხი კუბო. ოთხი გმირი, ოთხი მებრძოლი გამოაკლდა ტოლსწორებს. 28 აგვისტოს ფოთში ოთხი კუბო ერთად მოასვენეს სოხუმის ოლქიდან. უბრალო კუბოები. ზედ უბრალო წარწერით: პორუჩიკი სამსონ ღლონტი, გიორგი სურგულაძე, ილია რამიშვილი და ამალ ობელი—ბელადი ღლონტი თავისი ერთგული ამხანაგებით. ოთხივე სატირალ-სავალალოა, ოთხივე მოგვიწოდებს შური ვიძიოთ, ოთხივე გვასწავლის თუ როგორ უნდა ბრძოლა და თავისუფლებისათვის თავდადება, მაგრამ ყველაზე მეტად საგრძნობია ამ. სამსონ ღლონტის დაკარგვა. ძველი რეჟიმის დროს ის დასჭრეს ოსმალეთის ბრძოლის ველზე, მეორეთ დასჭრეს ავსტრიისაზე, სამხედრო სამსახურიდან ის იყო თავისუფალი, მაგრამ მას შეგნებული ჰქონდა მოქალაქის ვალი და ეს კი მას უკარნახებდა კვლავ ბრძოლას—ან გმირულ სიკვდილს ან თავისუფლების შენარჩუნებას. სამსონიც ხელმძღვანელობს საგანგებო რაზმს, მან არ იცის რა არის დასვენება, რა არის შიში. დღისით და ღამით კლდე-ღრეში, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთებში ის თავის რაზმით იბრძვის ლომივით, ხელში მახვილით, დარაჯათ უდგას თავისუფლებას და იარაღს ყრის ხალხის მტრებსა და ორგულებს. ცბიერმა ის მისი მცირე რაზმით, ღალატით შეიტყუეს მთაში და იქ წინათ ჩასაფრებულმა ავაზაკებმა ტყვიით განგმირეს ხალხის ოთხი მეგობარი. მოღალატენი იქვე დახვრიტეს. ვგლოვობთ ოთხივეს ერთად, ოთხივეს კუბო იგზავნება მშობელ სოფელში. კუბო,. კვლავ კუბო! შვიდი კუბოც ათონისკენ გაიგზავნა ამხანაგების გასასვენებლად!

აპ. წულაძე.

დიდუბე

ბევრი შრომის და წვალების შემდეგ დიდუბის სამოქალაქო კომიტეტის თაოსნობით დიდუბეს ეღირსა ქალაქის უფასიანი სასადილო, რომელმაც მოქმედება დაიწყო 1 სექტემბერს. იმედი გვაქვს ეს სასადილო ლაგამს ამოსდებს ყველა იმ მატყუარა სასადილოებს, რომლებიც ასე ბლომათ მოიპოვებიან დიდუბეში. დიდუბის შეგნებული ნაწილი ყურადღებით უნდა მოეკიდოს თავის სასარგებლო დაწესებულებებს და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს მის აღორძინებას. სასადილო კარგათაა მოწყობილი. სადილი ღირს ორი კერძი 3 მან. 50 კ. პურით იმ დროს, როდესაც ასეთი სადილი კერძოთ ჯდება 7—8 მან.

26 აგვისტოს შედგა დიდუბის სამოქალაქო კომიტეტის კრება, სადაც განსახილველი იყო საკითხი ღვინით ვაჭრობის შესახებ. ამხ. გნიელომ განაცხადა, რომ მე ვიცი ჩემი წინადადება არ გავა, მაგრამ მე მაინც წინააღმდეგი ვარ, რომ ღვინით ვაჭრობა ნება დავრთოთ ვისმე. ამხ. ჟურულმა სთქვა: ჩვენ სულ ერთია, დავრთავთ ნებას თუ არა, ღვინით ვაჭრობას ვერ მოვსპობთ, რადგანაც გამოცდილებამ დაგვანახვა, რა ზომებსაც მივმართეთ არაფერი გამოვიდა, გარდა ამისა, ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა, ვიდრე ჩუმად ვაჭრობენ, სჯობს ნება დავრთოთ და პატენტიც ავაღებინოთ, რითაც ქალაქს შემოსავალი გაძლიერდება. კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: მიეცეს ყველა იმ პირთ, ვისაც თხოვნა აქვს შეტანილი ნებართვა ღვინით ვაჭრობისა. მოვაჭრეები მოვალენი არიან ვაჭრობა აწარმოონ ზედა სართულებში და არა სარდაფებში, ღვინო უნდა იყიდებოდეს დაბეჭდილი და ბანდეროლ გადაკრული სახლში წაღებით და თუ ვინიცობაა რომელიმე მოვაჭრე არ შეასრულებს ამ წესს, იმ შემთხვევაში მოვაჭრე იხდის ჯარიმას 1000 მან. ქალაქის სასარგებლოთ: თუ ჯარიმა არ გადაიხადა იმ შემთხვევაში 3 თვით იქნება დაპატიმრებული. ყველა მოვაჭრე მოვალეა ასეთ წესს მოაწეროს ხელი, რომ მერე არა სთქვას, მე არ ვიცოდი თქვენი დადგენილებაო. ამხ. ჟურულის წინადადებით ყოველი ასეთი დადგენილება უნდა ეცნობოს ქალაქის თვითმართველობას, როგორც უმაღლეს ორგანოს, რაც კრებამ უკამათოთ მიიღო. მოქალაქე კოვალიოვმა შემოიტანა განცხადება, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი: გორის ქუჩაზე, სახლი № 10 სცხოვრობს ბ. გერცი, რომელსაც სახლის პატრონისთვის დაუბრალებია ქურდობა და როდესაც მოუყვანია მილიციონერები და მოუხდენია ჩხრეკა ვერაფერი ვერ აღმოუჩენიათ. ჩხრეკის დროს ბ. გერცი თურმე აივანზე სეირნობდა, ამ დროს ბალკონში ვიღამაც თურმე შემოაგდო ფუთა საცვლები, რომელიც აღმოჩნდა ბ. გერცას. ამის შემდეგ თვითონ გერცი გაჩხრიკეს. სახლში აღმოაჩნდა სახელმწიფო რემინგტონი და 30 არშინამდე სამხედრო მიტკალი, რემინგტონი ჩამოერთმიათ, მიტკალი კი დაეტოვებინათ. სამოქალაქო კომიტეტმა დაადგინა ბ. გერცი, როგორც საეჭო პირი გაძევებული იქნას დიდუბის რაიონიდან.

მეთვალყურე

რკინის გზაზე

უყურადღებოთ მიტოვებულნი.

18 ივლისს 1914 წელს საერთო მობილიზაციის დროს, გზათა სამინისტროს განკარგულებით ამიერ კავ. რკინის გზის სამმართველომ, რომ მეტი „სიფხიზლე და ელფერი" მიეცა მობილიზაციისათვის ჩვენც დღიური „პადიონნი" კონდუქტორებიც, რომლებიც ჯარში ნამსახურნი ვიყავით, გაგვიწვიეს სამხედრო სამსახურში. რამოდენიმე თვის შემდეგ გამოიცა 9 აგვისტოს 1914 წლის თარიღით „საერთო სახელმძღვანელო" კანონი, რომლის ძალითაც ამიერ კავ. რკინის გზის სამმართველო ვალდებული იყო ჯარში გაწვეულთა სარჩენი ჩვენ მიერ „ღვთის ანაბარათ მიტოვებულ ცოლშვილისათვის" ეძლია „სასურსათო პასობია" სახით: 1 კატეგორიის ოჯახისთვის მთელი 2 ნახევარი და 3 მეოთხედი „ოკლადი" ჯამაგირისა თვეში. მაგრამ რკინის გზის სამმართველომ გამოიჩინა დაუდევრობა და გაწვეულთა ოჯახებზე, მიუხედავათ მხარეში ომის მიერ გამოწვეულ საარაკო სიძვირისა, არ გაავრცელა ჩვენს ცოლშვილზე თანამედროვე „ოკლადები", არამედ— ძლია შვიდობიანობის დროის ჯამაგირი, რომელიც თვიური არ აღემატება 28 მანეთს. და ამ რიგათ, მეორე კატეგორიის ოთხ, სულ სარჩენს უწევდა 14 მან. თვეში. რკინის გზის სამმართველო მარტო იმით დაკმაყოფილდა, რომ აღძრა შუამდგომლობა 8 იანვარს მიმდინარე წელს— ამიერ კავკ. კომისარიატთან არსებულ გზათა სამინისტროს წინაშე, რომლითაც სთხოვდა, რომ ჯარში გაწვეულთა ოჯახებზედაც გავრცელებულიყო სიძვირის მიერ გამოწვეული დოპლატები; ე. ი. თანამედროვე ჯამაგირები, მაგრამ მიუხედავათ იმისა, აგერ 8 თვე გადის ხსენებული შუამდგომლობის შესახებ არაფერი ისმის. მე არას ვიტყვი ჯარში იმ გაწვეულთა პირების შესახებ, რომლებმაც შედარებით ადრე დააღწიეს თავი სამხედრო სამსახურს ავათმყოფობის და ჯანმთელობის დაკარგვის შემდეგ. მე მხოლოდ მოგახსენებთ მათ შესახებ, რომლებმაც ოთხი წელი დაჰყვეს ფრონტზე და მთელი ომის სიმძიმე თავიანთ თავზე გადაიტანეს და მხოლოდ დღეს ბევრი მათგანი ნახევრათ დასახიჩრებული გაანთავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. ნუ თუ რკინის გზის სამმართველომ და გზათა სამინისტრომ მათ ყურადღება არ უნდა მიაქციონ?

სტეფანე გიორგაძე.

სექტემბრის 15-ში მოწვეულია რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობა. არჩევნების წესრიგი უკვე გამომუშავებული აქვს მთავარ კომიტეტს ყრილობაზე გასარჩევად წამოყენებულია ათამდე საკითხი. მათში ბევრი საყურადღებოა. ყველა ეს საკითხები ჩვენმა ფრაქციამ წინასწარ უნდა გაარჩიოს და ისე წარსდგეს ყრილობის ანუ კომიტეტის წინაშე.

როგორი უნდა იყოს კომიტეტის უფლებები მუშა-მოსამსახურეების მიღება-დათხოვაში.?

ჩვენს მოთხოვნილებაში ნათქვამია: მუშების მიღება-დათხოვნა მუშებისვე საქმეა. ჩემის აზრით ამ უფლებას რკინის-გზის ადმინისტრაციას ჩვენ ვერ დავუთმობთ. ამ საკითხში არ უნდა იქნეს შეზღუდული მთავარი კომიტეტის უფლებები და თუ ასეთი რამ, სამწუხაროდ მოხდა, მიღება დათხოვნის საქმეში კომიტეტს შეკითხვის უფლება მაინც უნდა დარჩეს.

რუსეთის მთავრობა განაპირა ქვეყნებში გარუსების პოლიტიკას აწარმოებდა. გამონაკლისს არც საქართველო შეადგენდა. რკინის გზაზე ქართველების 60 პროცენტიც კი ქართულად ვერ სწერს. უნდა მოეწყოს მოსამსახურეთათვის სკოლები, ლექციები.

მთავარი კომიტეტი [illegible] უნდა შეეფერებოდეს დღევანდელ მოთხოვნილებას. მას უნდა [illegible] აღმშენებლო უნარი და იყოს გამსჭვალული ერისა და მისი რესპუბლიკის აყვავების იდეებით. თუ ასეთ კომიტეტს შევქმნით, იმედი უნდა ვიქონიოთ ის ერთგული და სასარგებლო თანამშრომელი იქნება ჩვენი მთავრობისა.

საქარელი მ.

ჩემი პასუხი ურცხვ რ. გაბაშვილს

წინა წერილში მე შევეხე თქვენს უსაფუძვლობას რკინის გზის კომიტეტის წინააღმდეგ გალაშქრებისას.

ეხლა მინდა შევეხო თქვენს საქციელს, რომელიც თქვენ ჩაიდინეთ 20 აგვისტოს ეროვნულ საბჭოს სხდომაზე და რომელიც ყოვლად დაუშვებელი იყო ყველა პატიოსანი პოლიტიკური მოღვაწისათვის. ამ საქციელის დაუშვებლობაზე ბევრი გელაპარაკეს თქვენ ორატორებმაც და საბჭოს თავმჯდომარემაც, მაგრამ თქვენთან აბა რას გახდებოდნენ? საქმე იმაშია, რომ თქვენ კრების დახურვისას უკანონოთ ისარგებლეთ სიტყვით და შეკითხვაში დამარცხებულმა სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხეთ მოინდომეთ ჯავრი ჩემზე გეყარათ და შეურაცხყოფის სურვილით წამოისროლეთ სიტყვები, რომლითაც გსურდათ ჩირქი მოგეცხოთ ჩემთვის. მაშინ კრება დაიხურა ისე, რომ მე ვეღარ მოვასწარი პასუხის გაცემა. ეხლა ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. მე ვფიქრობ, რომ აქაც თქვენი მდგომარეობა ისეთი იყო, როგორც შეკითხვის დროს, გითხრეს რომ არის სიყალბე, რომელიც ჩაიდინა საბჭოს იმ წევრმა, რომელმაც თქვენს წინააღმდეგ გამოვიდა, თქვენც დაეყრდენით ამ ლატონ სიტყვებს და დაუფიქრებლათ, ანგარიშ გაუწევლათ გამოდით ტრიბუნაზე და წამოისროლეთ ბრალდება. დამტკიცება? მაგრამ თქვენთვის ხომ საჭირო არ არის რისიმე დამტკიცება, თქვენი ვალია მხოლოდ წამოისროლოთ ის, რაც ენაზე მოგადგებათ.

უნდა მოგახსენოთ ბ-ნო გაბაშვილო, რომ საზოგადოებრივ და რევოლიუციონურ ასპარეზზე ჩემი მცირე მუშაობის განმავლობაში ისეთი არაფერი მიმიძღვის, რაც იძულებულს მხდიდეს ხმა ვერ ამოვიღო და ამიტომ მინდა საზოგადოების წინაშე განვმარტო თქვენი ბრალდება. თქვენ გარკვევით სთქვით, რომ ნინიძე თფილისის მუშათა საბჭოში ყალბი მანდატით იჯდაო. თქვენ რომ გქონდეთ წარმოდგენა ან რაიმე საერთო რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან გეცოდინებოდათ, რომ ყოვლათ შეუძლებელია, რომ ასეთ რაიმეს ადგილი ქონებოდა. მუშათა საბჭოს სამანდატო კომისია დაწვრილებით იხილავდა ყველა მანდატს, მანდატის დამტკიცების დროს საბჭოს საერთო კრებაზე საჯაროთ ცხადდებოდა, რომ ესა თუ ის პირი წარმოდგენილია ამა და ამ მუშათა ან მოსამსახურეთა დარგიდან თუ ჯგუფიდგანაო. თვითეულ კრებას აუარება კერძო ხალხი ესწრებოდა ამრჩევლები და როდესაც სამანდატო კომისია ასეთ განცხადებას აკეთებს წევრის დამტკიცების წინ თუ რომელიმე პირი უკანონოთ არის არჩეული დამსწრეთაგანი ხომ მაშინვე განაცხადებს პროტესტს არჩევნების შესახებ. თუ ვინიცობაა, რომ რომელსამე დარგში უკანონოთ აირჩიეს ვინმე, უკმაყოფილო ნაწილს ყოველთვის ქონდა და აქვს საშვალება უკანონობაზე განუცხადოს სამანდატო კომისიას და ისიც არ დაამტკიცებს არჩეულ პირს. ერთი სიტყვით რამდენ ნაირი დებულების დასახელება შეიძლებოდა იმის ნათელსაყოფათ, რომ თქვენი ბრალდება აბსურდია და მეტი არაფერი, მაგრამ შეიძლება ვინმემ იკითხოს რაშია საქმე? საიდგან გამოატყვრინეთ თქვენ ეს ამბავი ან რაზე არის აშენებული იგი? და აი სწორეთ აქ უნდა ფარდა ავხადო ერთი პიროვნების საქციელს, რაც დამამტკიცებელია მისი ინტრიგანობისა და დაცემის და აგრეთვე ამტკიცებს თქვენს დაწვრილმანებას, როცა თქვენ მის სიტყვებზე იმყარებით. გასული წლის მარტში, რევოლიუციის პირველ დღეებში როდესაც არჩევნები ხდებოდა რკინის გზის იმ დარგში, სადაც მე ვმსახურობდი აგვირჩიეს სამი პიროვნება სამივე სოც. დემოკრატი რწმენით. პირველმა თავისუფალმა კრებამ ამ დარგის მოსამსახურეებისა ჩვენ სამი კაცი აგვირჩია თავიანთ წარმომადგენლებათ როგორც დარგებით ცენტრალურ კომიტეტში, რომელიც მაშინ უნდა მოწყობილიყო აგრეთვე ყველა ახალ რევოლიუციონერ ორგანიზაციებში სადაც კი მაშინ საჭირო იქნებოდა მათი წარმომადგენლობა. არჩევნები მოხდა ღია კენჭის ყრით. ამ არჩევნების შე-

---

თვის და ახალ ადგილების შეძენისათვის

ძლია ვიფიქროთ, რომ გერმანიის იმპე-

ნაალმდეგ შემთხვევაში საფრთხე დიდია:

უზრუნველყოფილობა შეიარაღებულ ძა-

სოფია, მეცნიერული ახსნა: დემაგოგიამ

ღების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ჩვენ არჩეულმა მანდატი წარვადგინეთ რკინ.-ს გზ.-ს დროებით კომიტეტის საორგანიზაციო კომისიაში და აგრეთვე თფილისის მუშათა საბჭოში და დამტკიცება მივიღეთ რასაკვირველია. რომ ჩვენ მათ წარმომადგენლათ ვითვლებოდით როგორც საბჭოში ისე დროებით კომიტეტში, ამას კარგად ხედავდა ყველა ჩვენი ამრჩეველი მოსამსახურე, რადგანაც ყველა სხდომებს ესწრებოდა მოსამსახურეთა საგრძნობი ნაწილი. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა სიეზდი იქნა რკინის გზელებისა მოწვეული მუდმივ ცენტრალურ კომიტეტის ასარჩევათ, მოითხოვეს, რომ დელეგატები არჩეული ყოფილიყო ფარული კენჭის ყრით. ჩვენ ძველმა არჩეულებმა წარვსდექით კრების წინაშე და განვაცხადეთ, რომ ჩვენ ვიყავით არჩეული ღია კენჭის ყრით და ეხლა ნებავთ სხვა აირჩიონ და თუ ჩვენ გვიცხადებენ ნდობას, ამას დაამტკიცებს ფარული კენჭის ყრაო. ფარული კენჭის ყრით დიდი ხმის უმეტესობით არჩეული ვიქენით ისევ ჩვენ ძველი არჩეულებიდგან ორი კაცი მე და ამხ. ს. ლოგუა. მესამე ამხ. ნატროევი პროვინციაში აპირებდა და ყუთი არ დაიდგა. საჭიროც იყო ორი წარმომადგენელი მხოლოდ ნორმის მიხედვით ორასიდგან თითო კაცი, ამრიგათ ფარული კენჭის ყრით დიდი ხმის უმეტესობით მოსამსახურეთა კრებამ ნდობა ისევ ჩვენ გამოგვიცხადა და ჩვენც შეძლებისადაგვარად განვაგრძობდით მუშაობას.

რკინის გზის სიეზდმა მე ამირჩია მუდმივ ცენტრალურ კომიტეტის წევრად. ამ გარემოებამ და საერთოდ მოსამსახურეების მიერ ჩემმა არჩევამ საშინლად გააბრაზა ერთი პიროვნება, რომელიც ჩვენთან მსახურებდა, ალბად იმიტომ, რომ თითონ სურდა ყოფილიყო არჩეული, მაგრამ ეს ხომ ამრჩევლების საქმეა და ჩემს ან მის სურვილზე არ არის დამოკიდებული. ის მაშინვე შეუდგა ჩემს წინაალმდეგ ინტრიგებსა და დემაგოგიას.

როცა მე მთელი კვირაობით ლიანდაგზე ვიყავი ცენტრალური კომიტეტის დავალებით საორგანიზაციო ან სხვა რამე საქმისთვის და არ მქონდა საშვალება თბილისში ყოფნის არა თუ ჩემს ამრჩევლებთან მისვლის, ის მაშინ საშინელ დემაგოგიას ეწეოდა და არწმუნებდა მოსამსახურეებს, რომ მე მათმა არჩეულმა გავწყვიტე კავშირი მათთან და სხვა ასეთები. როდესაც იმ განყოფილების უფროსს ითხოვდნენ სამსახურიდგან, სადაც მე ვიყავი არჩეული, ზემო აღნიშნულმა პიროვნებამ ყოვლად საზიზღარი დემაგოგია გააჩაღა ჩემს წინაალმდეგ, თითქოს მე მოსამსახურეების სურვილის წინაალმდეგ ხელს უწყობდი უფროსის ისევ ადგილზე დარჩენას, თუმცა ძალიან კარგად იცოდა იმ პირმა, რომ მე არავითარ მონაწილეობას არ ვიღებდი საგამომძიებლო კომისიაში, რადგანაც ამას მოითხოვდა თითონ უფროსი. ბევრს ამხანაგს ახსოვს ალბად ჯერეც თუ რა ინტრიგებს და დემაგოგიას მიყო ხელი ჩემს წინაალმდეგ იმავე პიროვნებამ, როცა მე ცენტრალურ კომიტეტის დავალებით დავესწარი შარშან კანტორის მოსამსახურეთა სიეზდს, რომელიც ანარქისტულად მოწვეული იყო თითონ იმ ვაჟბატონის და ორი სამი მისთანების ინიციატივით და როდესაც მე განუმარტე ზოგიერთ ჩვენ ლიანდაგიდან გამოწვეულ ამხანაგებს, რომ ისინი შეცდომაში არიან შეყვანილი იმ ამხანაგების გავლენით ყრილობაც იმავე დღეს დაიშალა. აქვე უნდა დავასახელო კიდევ ერთი ეპიზოდი იმ პიროვნების ინტრიგანობისა, რადგანაც ამას კავშირი აქვს ჩვენს წარმომადგენლობასთან მუშათა საბჭოში. ამ წლის იანვარში, როცა ხელ-ახალი არჩევნები ხდებოდა მუშათა საბჭოს წევრებისა (перевыборы) რკინის გზების სამმართველოს ყველა განყოფილებები, რომელსაც აერთებდა სამმართველოს რაიონული კომიტეტი გამოყოფილი იყო ერთ საარჩევნო რაიონათ და არჩევნებიც ასე უნდა მომხდარიყო. აღნიშნულმა პირმა საშინელი დეზორგანიზატორული და ინტრიგული ქსელები გააბა მოსამსახურეებში და იმდენი ეცადა, რომ ზოგიერთი მისი თანამოაზრეების შემწეობით შესძლო საიდაც თითონ მსახურებდა იმ განყოფილების გამოყოფა საერთო საარჩევნო რაიონიდან. მიზანი ამ გამოყოფისა ის ახლდათ, რომ სამმართველოს საერთო რაიონში უკვე გამომუშავებული იყო ერთი სია სოც. დემ. და სოც. რევ. და ს სია უზრუნველყოფილი იყო. თითონ პირი რასაკვირველია ამ საარჩევნო [illegible] არ მოხვდა და რაკი გამოყო ცალკე [illegible]ჩევნების მოსახდენათ ის განყოფილება, [illegible]საც მსახურებდა, იმედი ქონდა, ამ თითონ გავიდოდა არჩევნებზე. ამ [illegible]ყოფილ კრებაზე თავისებური დემაგოგია აამუშავა ჩემს წინაალმდეგ; სხვაშორის მოიხსენია, რომ უკანონოთ [illegible]ვებლობდი მათ ხმით, რომ მე [illegible]ჯგისი წარმომადგენელი ვარ და სხვა [illegible]ი, მაგრამ შესაფერისი პასუხი მი[illegible] მაშინაცა ამ კრებაზედაც. არა თუ ამ კრებაზედ ყველგან, სადაც კი წაახელდა დემაგოგიას ეწეოდა ჩემს წინაალმდეგ, ღაღადებდა ჩემს სხვადასხვა უკანონობაზედ. თუმცა მიკვირს თუ კი რამე საბუთები მოეპოებოდა, რატომ აქამდის არ განაცხადა ერთ ერთ იმ ორგანიზაციაში, სადაც მე ვმუშაობდი, რომ მე ბოროტების ჩამდენი ვიყავი, მაშინ ხომ ერთბაშათ მიაღწევდა მიზანს და მე ყველა ორგანიზაციებიდან დამითხოვდენ, როგორც ბოროტ-მოქმედს, მაგრამ ინტრიგანი იმის ინტრიგანია, რომ ჩუმათ, დედაბრულათ აქა იქ, სადაც შემთხვევა ხელს უწყობს იქ უნდა გაავრცელოს ჭორი და ცილის წამება და მით დაატკბოს თავისი ინტრიგანული სულისკვეთება.

აი ამ იანვრის კრებაზე, რომელიც გამოყოფილათ შეუდგა არჩევნების საქმეს, ამ ვაჟბატონს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. დემაგოგობამ ვერ გასჭრა და მაინც არ აირჩიეს იგი. რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას მე თითონ მოვხსენი, რადგანაც მე შეტანილი ვიყავი სამმართველოს რაიონის საარჩევნო სიაში, ეს სია კი უზრუნველყოფილი იყო და რაკი ეს ნაწილი გამოეყო, აქ სასურველი იყო სხვა ამხანაგს ეყარა კენჭი და ხმები არ დანაწილებულიყო ასე რომ ამ წლის იანვრიდან მე ვარ არჩეული მუშათა საბჭოში სამმართველოს რაიონიდან და შესაფერისი მანდატიც თითონ საარჩევნო კომისიამ წარადგინა მუშათა საბჭოში. ასეთია ჩემი წარმომადგენლობის მოკლე ისტორია, ბატონო გაბაშვილო. ეხლა მკითხველმა საზოგადოებამ და აგრეთვე თითონ თქვენც, თუ კი შეგრჩენიათ ცოტათი მაინც პოლიტიკური სინდისიანობა, განსაჯეთ სად არის აქ „ყალბი მანდატით გაძრომა“ როგორც ამის წამოსროლა თქვენ ინებეთ. ჩემ მიერ აღნიშნული პიროვნება სისტემატიურ ინტრიგებს აწარმოებს ჩემს წინაალმდეგ, ამის დამამტკიცებელი მაგალითი ბევრი იცის იმ ამხანაგებმა, სადაც ჩვენ ერთად ვმსახურობდით. მადლობა ღმერთს, გარდა თითო-ოროლა მისი თანამოაზრისა მას ყველგან და ყველა იცნობს როგორც პირად მოკინკლავეს, გაუტანელს და საშინელ წვრიმალ ინტრიგანს. პიროვნებას მე ჯერ არ ვასახელებ, თუ მომავალში საჭიროება მოიტანს დავასახელებ კიდეც და ბევრს მის ინტრიგებსა და უსაქციელობას გამოვიტან სინათლეზე. მაგრამ ამ შემთხვევაში მე საქმე მაქვს თქვენთან. აღნიშნული პიროვნება 20 აგვისტოს სხდომის დროს მსმენელთა დარბაზში პირველ რიგში იჯდა. ჩემი ტრიბუნაზე გამოსვლის შემდეგ თქვენ გახვედით და ესაუბრებოდით მას და როდესაც კრება დაიხურა, მე მაშინვე გითხარით, რომ ეს ჭორი ამა და ამ პირის მიერ გაქვთ გადმოცემული. მაგრამ ვნახოთ ბოლო მეთქი. როდესაც თქვენ ასეთი პიროვნების პოლიტიკურ ცარიელ განცხადებას ეყრდნობით და გამოდიხართ ტრიბუნაზე და საჯაროთ უყენებთ მეორე პირს ბრალდებას, რომლის დასამტკიცებლათაც თქვენ არაფერი არ მოგეპოებათ, ეს დამამტკიცებელია თქვენი დაწვრილმანებისა და დაავადებისა. ან იქნება საბუთათ ის იკმარეთ, რომ ის პიროვნება დღეს რადიკალ-დემოკრატათ რაცხს თავს და რაკი თქვენი მახლობელ და განურჩეველ პარტიის წევრის მიერ იყო განცხადებული ეს კმაროდა. მაგრამ ის არ იცით შეიძლება, რომ ის პიროვნება სულ წინათ სოც.-დემ. პარტიას აბედნიერებდა თავის წევრობით, მერმე აღარ მოეწონა და სოც.-ფედერალისტებთან გადაბარგდა, ცოტა ხნის შემდეგ ისინიც დააობლა და ეხლა რადიკალ-დემოკრატობს. ასე რომ ამ მხრივ ფრიად საეჭვო ღირებულების არის მისი პარტიულობა. ასეთი გახლავთ ჩემო ბატონო საქმის გარემოება. ყალბი მანდატების ჩვეული ჩვენ არ გახლავართ არც დაგვჭირვებია, ჩვენ შეძლებისდაგვარათ გულწრფელათ ვმუშაობთ იქ, სადაც დაგვაკისრებენ დემოკრატიის საკეთილდღეოთ. ყალბი გზები და მანდატები თქვენთვის დაგვილოცია. ამ ჩემს პასუხს მე ზედმეტათ ჩავსთვლიდი, მაგრამ თქვენი გამოსვლის შემდეგ და აგრეთვე საბჭოს სხდომის ანგარიშების გამოქვეყნებისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „საქართველოში“, სადაც რა თქმა უნდა ყველაფრის წერა შეიძლება, შეიძლება რომ ვინმესთვის ერთგვარი გაუგებრობა დაბადოს, ამიტომ საჭიროთ ვსცანი პრესის საშუალებით მიმეთითებინა თქვენს შეუწყნარებელ და დაუშვებელ საქციელზე. თუმცა თქვენ ამ ბოლო დროს ეს ჩვეულებათ შემოიღეთ, რომ ყოველ მორიგ დამარცხების შემდეგ ფონს იმით გინდათ გახვიდეთ, რომ სიტყვის დასასრულ ხან ერთის ესვრით პირად შეურაცხმყოფელ ცარიელ ფრაზებს და ხან მეორეს. თუმცა ეს ნასროლი სიტყვები ისევ თქვენვე გიბრუნდებათ უკან და თქვენვე გხვდებათ, მაგრამ ჭკუა ხომ ასე ადვილი სასწავლი არ არის. როდესაც თქვენ საქციელს აკვირდება კაცი, ძალა უნებურათ გაგონდება განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ერთი პატარა ლექსი, რომლითაც ის ახასიათებდა მაშინ მარტო მიხეილ მაჩაბელს და ეხლა კი საუკეთესო დამახასიათებელია მთელი თქვენი „სახელმწიფოებრივი პარტიის“ პასუხისმგებელ ორატორებისა:

...„ვითა ცხენსა შარაგძელი და გამოცდის დიდი რბევა.
მართ აგრეთვე ორატორსა გრძელთა სიტყვათ ცუდათ ზნევა.
უპრაგონო ლაპარაკი, გულში ცემა, ხელთა ქნევა,
არ დაღალვა, არ დაქანცვა, ოფლის წურვა, ოფლის ფრქვევა.
აჩუმებდენ, არ დაჩუმდეს, არ დაუწყოს სიტყვამ ლევა,
ნუ გეშინით! სტყუის ვინც სთქვა მუნჯისაგან ყბედის ძლევა.
მეც ეგრე ვარ, როგორც მხედავთ ორატორთა კარგთა სწორი,
ვფქვავ რაც ენას მომადგება თუნდ მართალი თუნდა ჭორი...
არას ვნაღვლობ, თუ რამე ვსთქვი უმზგავსო და შორი შორი,
არა ვტყდები თუმცა ხშირად ბურტყუნს მადენენ ვით გნოლს ქორი“!..

როდესაც ამ ლექსს კითხულობს კაცი ბატონო რევაზ გაბაშვილო, ძალა უნებურათ მთელი თქვენი ფრაქციის მუშაობა აგონდება, რომელსაც თქვენ ეროვნულ საბჭოში ეწევით. განსვენებული ილია მარტო მიხეილ მაჩაბელს ახასიათებდა ასე, თქვენ კი სულ ყველანი პირნათლათ ასრულებთ ზემოთ მოყვანილ ილიას სიტყვებს.

ეროვნულ საბჭოს წევრი
ვიქტორ ნინიძე.

მუშათა შორის

მებალე მუშათა პროფესიონალური კავშირი. გულგრილობა—აი ის მომაკვდინებელი სენი, რომელიც დასჩემდა საზოგადოთ მუშებს და კერძოთ მებალე-მუშებს. თფილისში არ არსებობს არც ერთი დარგი მუშების, რომელსაც უხდებოდეს მუშაობა ისეთ პირობებში, როგორც ბაღებში მომუშავე მუშებს.

ხსენებულმა მუშებმა გასულ წელს შეადგინეს პროფ. კავშირი, არჩეულ იქნა 7 კაცისაგან გამგეობა და შედგა პროფესიონალური კავშირი. პირველ ხანებში კავშირში ჩაეწერა 335 მუშა და საწევრო გადასახადსაც ყველანი იხდიდენ, კრებებსაც ყველანი ესწრებოდენ, მაგრამ განვლო დრომ და ხსენებული მუშები მოიცვა გულგრილობამ და სამწუხაროთ, არც ფულის შემოტანაზე იწუხებენ თავს და კრებებზედაც არ ესწრებიან. გამგეობის მიერ ხშირათ იყო დანიშნული კრებები, მაგრამ წევრთა დაუსწრებლობის გამო კრებები არ შემდგარა. ამასთან, გამგეობის ზოგიერთი წევრები გაიფანტნენ. ამ ნაირად გამგეობა რამოდენიმე ამხანაგისაგან შესდგება. ხსენებულ ამხანაგებს საკითხი აღეძრათ: ასეთ შემთხვევაში შეუძლია თუ არა იარსებოს კავშირმა? რასაკვირველია, თუ ასე გაგრძელდა მუშების კავშირისადმი გულგრილობა, არსებობა შეუძლებელია და გამგეობის 3—4 წევრი იძულებული იქნება კავშირის გაძლიერების მაგივრათ, კავშირის დახურვისთვის მოიწვიოს საზოგადო კრება. ეს შემთხვევა მეტად ცუდია მებალე მუშებისთვის, როდესაც ამ დარგში არავითარი ნორმალური შრომის პირობები არ არის და 8 საათის მაგივრათ 18 საათს მუშაობენ, ეს იმ ბაღებში, სადაც ყვავილებით ვაჭრობენ და მეწვანილეთა ბაღებში კი, წარმოუდგენელია მუშაობა, მიუხედავათ იმისა, რომ ამა წლის 14 იანვრის დეკრეტის მიხედვით მცირე წლოვანთათვის აკრძალულია 6 საათზე მეტი მუშაობა, დილის 5 საათიდან საღამოს 10 საათამდე მუშაობენ თითქმის შეუსვენებლათ. ეს დაბეჩავებულები არიან სოფლიდან ჩამოყვანილი პატარა ბავშვები, რომლებსაც იქ, სოფელში ოქროს მთებს პირდებიან დამქირავებლები (მეტ შემთხვევაში ნათესავებია) და აქ, ქალაქში, მათ ტყავს აძრობენ და მშიერ-მშიერნი უზომო შრომას ეწევიან დამქირავებელთა გასამდიდრებლად.

ვიქტ. კობახიძე

სასტუმრო „რადიანტი“. დიდი ხანი არ არის, რაც სასტუმრო „რადიანტი“ იჯარით აიღო კალენიკე თაყას ძე გოგოლაძემ, რომელიც ყოველგვარ შევიწროებას აყენებს სასტუმროს მოსამსახურეებს. ბატონი კალენიკე მოსამსახურეებს პროფესიონალურ კავშირიდან არ იღებს და ესაა მიზეზი, რომ არავინაა ისეთი, რომ დაიცვას მოსამსახურეთა ინტერესები. მოსამსახურეთა მდგომარეობა აუწერელია, საწოლი ბინა არავის გააჩნია, ზოგს სამზარეულოში უხდება ძილი, ზოგი აივანზე და კიბეებზე არის მოთავსებული. ჯამაგირებს ხომ დროზე ვერვინ იღებს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას და იხსნან მოსამსახურენი უწესო მდგომარეობიდან.

ამხ. მონდობილობით მოსამსახურე
მიხაკო გოგოლაძე.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 29 აგვისტოს მოხდა მე-4 რაიონის კოლექტივის მორიგი კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) კოლექტივის კრების ქვორუმი; 2) სეკრეტარიატის მოხსენება მე 4 რაიონში პარტიულ მუშაობის და საერთო მდგომარეობის შესახებ; 3) ლექცია—საუბრები პარტიის წევრებთან; 4) ზომები საწევრო გადასახადის დროზე არ შემოტანის წინაალმდეგ, 5) პარტიის წევრებისათვის კეთილ-საიმედოვნების მოწმობის მიცემის შესახებ; 6) საბურთთალოელ ამხანაგების განცხადება; 7) გაზ. „ერთობის“ შესახებ და სხვ. ამ კითხვების შესახებ კრებამ დაადგინა: 1) ქვორუმს შეადგენს უბრალო უმრავლესობა 2) სეკრეტარიატის მოხსენება მოწონებულათ ჩაითვალოს და დაიბეჭდოს ქართულ და რუსულ ენებზე. 3) ეცნობოს ამხანაგებს, რომელთ დროზე არ შემოაქვთ საწევრო გადასახადი, რომ ამიერიდან ასეთი წევრები გარიცხულ იქნებიან პარტიიდან თანახმად პარტიის წესდების 3 მუხ. და მათი სახელი და გვარების სია იქნება გამოქვეყნებული. 4) არავითარი კეთილ-საიმედოვნების მოწმობა არ მიეცეს არავის. 5) თანახმად საბურთალო ახალშენის პარტიულ ამხანაგთა განცხადებისა დაინიშნოს პარტიული სასამართლო ი. ლაფაჩიძის და კომპ. შესახებ. ამ მიზნით აირჩია საგამომძიებლო კომისია 3 კაცისაგან (მაჭავარიანი, მესხი და ბერეჟიანი), რომლებიც ამ დღეებში შეუდგებიან მუშაობას; 6) 1 სექტემბრიდან კოლექტივი ხელს იღებს გაზეთის გავრცელებაზე.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა რამდენიმე განცხადება—შეკითხვა და დაიხურა.

მდივანი ს. მიხელიძე.

პროვინცია

სამეგრელო. ყველამ იცის, რომ სამეგრელოს ზოგიერთ მივარდნილ კუთხეებში ადგილი ჰქონდა ეგრედ წოდებულ ბოლშევიკურ გამოსვლებს. ამის მთავარი მიზეზი ხალხის ჩამორჩენილობა და გაუგებრობა იყო. არის სამეგრელოში ისეთი სოფლები, სადაც გლეხებმა არ იციან: დამოუკიდებელია საქართველო თუ არა, თუ ისევ რუსეთთან გვაქვს კავშირი. ზოგიერთი გლეხები იმასაც კი ლაპარაკობენ, რომ გერმანიამ დაგვიპყროვო. ყველა ეს მიზეზები რომ მოისპოს, საჭიროა დიდი ენერგია გამოიჩინოს ჩვენში მომქმედ პოლიტიკურმა პარტიებმა, მთავრობის აგენტებმა და კერძოთ პროპაგანდისტებმა. დიდი დადებითი მუშაობაა სოფლად საჭირო, რომ ჭეშმარიტ გზაზე გამოვიყვანოთ პროვოკატორების მიერ გზა-დაბნეული გლეხობა. სამეგრელოში ბოლშევიზმის გავლენას და ბოლშევიკურ გამოსვლებს ფაქტიურათ ბოლო მოეღო, მაგრამ სულ სხვა ფორმით ევლინება იგი სამეგრელოს გლეხობას, სულ სხვა ფორმებში ყალიბდება დღეს აქ „ბოლშევიზმი“. ეს ფორმაა: ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა, დაცემა, მკვლელობა და სხვა ასეთები. ასეთ რამეებს ამ ბოლო ხანებში სამეგრელოში ბევრ ალაგას ჰქონდა ადგილი, რაც ფრიად სავალალოა. ყველასათვის ცხადია, რომ ხალხის კულტურულ-გონივრულ განვითარების პროცესში დიდ როლს თამაშობს სამკითხველო და თეატრი. ამ მხრივაც ჩამორჩენილია სამეგრელოს საგრძნობი ნაწილი. სამკითხველო ზოგიერთ სოფლებში სრულიად არ მოიპოვება. ეს უმთავრესათ ადგილობრივ ინტელიგენციის დაუდევრობას უნდა მიეწეროს. ისეთ თვალსაჩინო ადგილში, როგორიცაა დაბა აბაშა, დღემდე სამკითხველო ვერ აღუდგენიათ, თუმცა ამ საქმის მოგვარება ფრიად პატიოსან და კულტურა-განათლების მოსიყვარულე პირებს აქვთ დაკისრებული. წარმოდგენები სამეგრელოში უმთავრესათ რკინის გზის ლიანდაგის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში და თვალსაჩინო ცენტრებში იმართება მოწაფეთა ჯგუფების მიერ. თეატრის განვითარებას სოფლად და დაბებში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს თვით მთავრობამ, ხელი შეუწყოს მის რიგიან ნიადაგზე დაყენებას და განვითარებას.

ქ. საჩოჩიელი.

ს. გიორგიწმინდა (გარეთ კახეთი). ამ წლის თებერვლიდან ჩვენ სოფელსაც ეღირსა კოოპერატივის გახსნა. ეს სოფელი ღარიბია დემოკრატიული ინტელიგენციით, ხოლო არა დემოკრატიულად. ყველაფერს „გამორჩენის“ თვალით უყურებს. ჩვენ კოოპერატივსაც ასეთი ვაჟბატონები მოექცნენ სათავეში, რომელთაც სრულიად არ აინტერესებთ ის, რომ კოოპერატივი თავის ნამდვილ დანიშნულებას ასრულებდეს. კოოპერატივთა კავშირში ჩაწერა პირველიდანვე მიუტოვებელ ცოდვათ ალიარეს და თუ ჩაეწერენ, მხოლოდ იმისთვის, რომ კავშირს ჩვენი კოოპერატივის არსებობა ეცნო და ამით საშვალება მისცემოდათ დაუბრკოლებლივ შეეძინათ საქონელი სასურსათო კომიტეტებიდან და სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან. გამგეობის ერთ წევრს საქონლის საგრძნობი ნაწილი მიაქვს თავის სახლში და მაშინ, როცა კოოპერატივში ეს საგანი გამოილევა ხოლმე, ჰყიდის ერთი სამად ძვირად ვინდრე ეს კოოპერატივში იყიდებოდა. მხედველობაში მყავს გამგეობის მხოლოდ ერთი წევრი ბ-ნ იერემია გულისაშვილი, რომელიც დიქტატორულად განაგებს ჩვენ კოოპერატივს. ყველა ის არასაკადრისი მოქმედება, რომელსაც სჩადის ბ-ნი ი. გულისაშვილი შეიძლება ფაქტებით ხელში დაუმტკიცო.

„ცხრათვალა“.

ს. ზენობანი (გურია). ამ სოფელში არსებობს 2 კულტურული დაწესებულება: კოოპერატივი და სამკითხველო, ორივე უყურადღებოთ მიტოვებული იყო დღემდის. კოოპერატივის გამგეობის ერთ-ერთ წევრს მოუკრებია ფულები ხალხისგან სიმინდის მოსატანათ, მაგრამ დაიმედებულ ხალხისთვის რამდენიმე თვის შემდეგ დაუბრუნებია სარგებლის აღებით ფულები. ას მანეთზე აუღია ექვსი მანეთი, რამაც მეტად დაალონა გაღატაკებული ხალხი. ფულებთან შეკრებილი ტომრები ზოგიერთისთვის დღესაც არ დაუბრუნებიათ. სამკითხველოსაც მოევლინა არა სასურველი პირი და შეკრებილი ფულები მიისაკუთრა. საზოგადო კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია თუ რა ბედი ეწია შეკრებილ ფულებს. აღმოჩნდა, რომ ერთ ერთ პირს აქვს დღესაც. კომისიამ წინადადება მისცა მას ერთ კვირაში შემოტანის, უკიდურეს შემთხვევაში გაზეთში იქნება გამოცხადებული ამ ვაჟ-ბატონის სახელი და გვარი. ამხ. მირ. გ. ბასილიამ გადმოგვცა ბათომის დაცემამდე ბათომში შეკრებილი 39 მანეთი ზენობანი-ინტაბუეთის სამკითხველოს სასარგებლოთ, რისთვისაც მადლობას უძღვნის გამგეობა მას.

მონდობილობით ი. თავზრიძე.

მე გიორგი კაზაროვმა დავკარგე 30 აგვისტოს უვადო პასპორტი, კახეთის რკინის გზის ორი „პროვიზიონი“ ბილეთი, ერთი წლიური რკ. გზის ბილეთი სამსონ გულბაშვილის სახელზე, ორი „უდოსტოვერენიე“, ს. დ. პარტიის საწევრო წიგნაკი და სხვა წვრილმანი კვიტანციები. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფ. დეპო, ტაბელჩი იოსებ კაზაროვს. მომტანი მიიღებს საჩუქარს.

დაიკარგა რედიკული, რომელშიაც იყო ფული და პატარა დანა. მპოვნელს ვსთხოვ რედიკული და ფული დაიტოვოს, ხოლო დანა დამიბრუნოს, რადგანაც საყვარელ ძმისაგან არის ნაჩუქარი და როგორც ასეთი, ჩვენთვის მეტათ ძვირფასია. ადრესი: ავლაბარი, დალგსტინის ქუჩა, № 5, ნინა გილანოვს.

ისტორიული განყოფილება არსებული მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსი მიმართავს თხოვნით ყველა მოქალაქეებს, ამხანაგებს, ორგანიზაციებს და რედაქციებს, რომელთაც აქვთ რაიმე მასალები (დეპეშები, ოქმები, მოხსენებები, წერილები და შენიშვნები) რომელიც ეხება თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მოგვაწოდონ სასახლეში ოთახი № 13 ასლის გადასაღებათ: მსურველს დაუბრუნდება დიდის მადლობით (3—3)

ექიმი დ. ჯაჯანიშვილი
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

ექიმი მ. ფ. მ[illegible]
იღებს ქალების და [illegible]
ლებით [illegible]
საღამოს 5—7 [illegible] (24—12)

ქალ. ქუთაისში
(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)
ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით.
დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყოველ დროს. (24—18)

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნ-ტის
მ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 12—2 საათამდე და 4—8 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა № 32.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, ს[illegible]ზებით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიის აფთიაქის გვერდით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 144 (კინემატოგრაფ „აპოლლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონზე. ტელეფ. 5—96.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
პეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი ი. გ. კონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—18)

ექიმი ა. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამო 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: [illegible] მთავრის ქ. № 57; [illegible] (ერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულის, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, შემეკის აფთიაქის მახლობლათ.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-სახაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით ლარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—74

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ქალაქის პირველდაწყებითი სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყება 20 სექტემბრიდან. (2—2)

სასურსათო საქმეთა სამინისტრო
ამით იწვევს პირთ, რომელთაც შეუძლიათ მიანდონ სამინისტროს რვაასი ათასი (800,000) ფუთი მარილის შემოტანა. ამის შესახებ მსურველებმა უნდა მისცენ წერილობითი განცხადება სასურსათო საქმის სამინისტროს კანცელარიაში არა უგვიანეს ამა წლის 5 ენკენისთვის შუადღის 12 საათამდე. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული: 1) სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი მსურველისა; 2) მარილის ხარისხი და ალაგი მარილის შესყიდვისა; 3) დრო, თუ როდის იქნება შემოტანილი მარილი; 4) ფასი „ფრანკო ვაგონი“ საქართველოს რკ. გზ.; 5) პირობები ფულის გადახდისა. აგრეთვე მიიღება განცხადებები ნაწილობრივ არანაკლებ ასი ათასისა (100,000). „ფუთი მარილი მიწოდებისა“. ცნობებს პირობების შესახებ იძლევა სამინისტროს კანცელარიაში მიმწოდებელ განყოფ. უფროსი ადანაია.
მიმწ. განყ. უფროსი ადანაია.
(3—2
სასურსათ. საქ. მინ. ლორთქიფანიძე.

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.